

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



თამარ დეისაძე

საქართველოს კომერციული ბანკების მართვის თანამედროვე  
მექანიზმი: პრობლემები და განვითარების პერსპექტივები

ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ლეილა ლუდუშაური

თბილისი

2019

## შინაარსი

ანოტაცია .....	3
Annotation.....	5
შესავალი.....	7
თავი I. კომერციული ბანკების მართვის სპეციფიკა თანამედროვე ეტაპზე.....	10
1.1. კომერციული ბანკების მართვა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურა.....	10
1.2. კომერციული ბანკების საქმიანობის თანმხლები პრობლემები.....	15
თავი II. ახალი რეგულაციები საბანკო მენეჯმენტში.....	30
2.1. საბანკო რეგულირება, როგორც ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის, მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სამართლებრივი ელემენტი.....	30
2.2. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.....	33
2.3. ახალი მიდგომები კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვაში.....	49
2.4. ეროვნული ბანკის რეგულაციები სესხების უზრუნველყოფის საკითხში.....	52
2.5. კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები.....	58
2.6. გალარების სახელმწიფო პროგრამა.....	61
თავი III. საბანკო რეგულაციების შედეგები და განვითარების პერსპექტივები.....	67
3.1. რეგულაციების შედეგები დინამიკაში.....	67
3.2. სს „თიბისი ბანკი“: მართვის თავისებურებანი და განვითარების პერსპექტივები.....	85
დასკვნები და რეკომენდაციები.....	99
გამოყენებული ლიტერატურა.....	103

## ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება საბანკო სფეროს, რადგან საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირება განაპირობებს ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკურ-სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას. თავის მხრივ, საბანკო სისტემის განვითარება და წარმატებული ფუნქციონირება დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში მდგრადი საბანკო რეგულირების არსებობაზე.

ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კომერციული ბანკების მართვას თან ახლავს გარკვეული პრობლემები, რომელთა აღმოფხვრა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ხელისუფლების ერთობლივ მიზანს. სწორედ, ამის გამოძახილია ის რეგულაციები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს მოცემული პრობლემის აქტუალობა და წინამდებარე კვლევის თემის არჩევა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კომერციული ბანკების მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენა და განვითარების პერსპექტივების დასახვა.

კვლევის ძირითადი ამოცანაა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა და საბოლოოდ, დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საბანკო მენეჯმენტში განხორციელებული ახალი რეგულაციების მიზანშეწონილობა და გაანალიზებულია მათი გავლენა ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 106 გვერდს და შედგება: შესავლის, სამი თავისა და ათი ქვეთავისაგან.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია კომერციული ბანკების მართვის სპეციფიკა თანამედროვე ეტაპზე, კერძოდ მათი მართვის თავისებურებანი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკისათვის საბანკო რეგულირების მნიშვნელობა და განხილულია საქართველოს საბანკო სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეგულაციები.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია განხილული რეგულაციების შედეგები, ასევე, თიბისი ბანკის მართვის თავისებურებანი და განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომს თან ერთვის დასკვნები, რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

Tamar Deisadze

## Modern Mechanism for Management of Georgian Commercial Banks: Issues and Development Perspectives

### Annotation

Banking sector plays a significant role in development of the modern world economy since successful functioning of banking system creates a healthy economic legal environment in the country. On the other hand, the development of the banking system and its successful functioning depends on sustainable banking regulations of the country.

On the example of our country, it can be said that management of Georgian commercial banks are accompanied by some challenges and their elimination represents the joint goal for the National Bank of Georgia and the Government of Georgia. Regulations implemented by the National Bank of Georgia represents its response.

Abovementioned factors determine the actuality of given issue and choosing of the research topic.

The purpose of our research is to reveal issues before management of Georgian commercial banks and to set the perspectives for its development.

The major task of the research is to discuss the abovementioned issues and to draw conclusions and recommendations at the end.

Advisability of the new regulations implemented in bank management is discussed in this Master`s Thesis and their impact on main economic indicators of the country is analyzed.

Master`s Thesis consists of 106 pages and it contains: introduction, three chapters and ten subchapters.

In the first Chapter, specifics of bank management on modern stage are discussed; in particular, the management peculiarity and issues related to it.

In the second Chapter, an importance of banking regulations for the country`s economy is analyzed and the significant regulations implemented in Georgian banking sector are discussed.

In the third chapter, the results of discussed regulations are represented, as well as the management peculiarities and development perspectives of TBC Bank.

Thesis is accompanied by conclusions, recommendations and list of reference literature.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას საბანკო სისტემის ძირფესვიანი რეფორმირება წარმოადგენს. დღესდღეობით, ქვეყნის საბანკო სისტემა კონკურენციის გამძაფრებით, სახელმწიფო რეგულირებისა და ზედამხედველობის გამკაცრებით, ეკონომიკასთან ურთიერთქმედების გაძლიერებითა და არასაბანკო პროდუქტების გამოყენების სიხშირის გადიდებით ხასიათდება. ამიტომ, კომერციული ბანკების მართვის პრობლემების გამოვლენა და განვითარების პერსპექტივების ძიება ძალიან მნიშვნელოვანია.

საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა ჭირდებათ, რათა სრულყოფილი საკუთარი საქმიანობა და მთლიანად შეუსაბამონ იგი საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს.

თანამედროვე საბანკო სისტემაში ხორციელდება დიდი რაოდენობის თავისუფალი სახსრების მოზიდვა და მათი მსესხებლისაკენ მიმართვა, ამასთან, უმნიშვნელოვანესია ის, რომ სწორედ ამ თავისუფალი სახსრების საშუალებით ხორციელდება უნაღდო ფულის მასის შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სუსტი საბანკო რეგულირება ქმნის საფრთხეს, რომ მოქალაქებს, კერძოდ კომერციული ბანკების მომხმარებლებს შესაძლებელია გაუჩნდეთ უნდობლობა საბანკო დაწესებულებების მიმართ. ასევე, ამ შემთხვევაში, ბევრად უფრო დიდია კრიზისის ალბათობა, რაც იწვევს მომხმარებლების დანაზოგებისა და სესხების გადინებას სხვა, უფრო განვითარებული საბანკო სისტემის მქონე ქვეყნებში, რაც საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მნიშვნელოვანია, ბანკებში გამართული შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რადგან მასზე არის დამოკიდებული ბანკის წარმატებული ფუნქციონირება, ხოლო გამართული შიდა კონტროლის სისტემის არსებობა კი წარმოუდგენელია ბანკის მიერ საკუთარი საქმიანობის სათანადოდ დაგეგმვისა და შეფასების გარეშე. ეს ყველაფერი კი ერთად აღებული შეუძლებელია, რომ მიღწეულ იქნეს ბანკების სათანადოდ

მართვის გარეშე. სწორედ ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს მოცემული პრობლემის აქტუალობა და წინამდებარე კვლევის თემის არჩევა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს კომერციული ბანკების მართვის მექანიზმის პრობლემების განხილვა, გაანალიზება და შეფასება, ხოლო ძირითადი ამოცანებია:

- ❖ საქართველოს კომერციული ბანკების მართვის სპეციფიკის შესწავლა თანამედროვე ეტაპზე;
- ❖ საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობაში არსებული პრობლემების გამოვლენა-შეფასება და ნაკლოვანებების გამოსწორების გზების ძიება;
- ❖ საბანკო მენეჯმენტში განხორციელებული რეგულაციების გაანალიზება და შეფასება;
- ❖ საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა;
- ❖ დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგია.** კვლევა ეყრდნობა: ქართველი მეცნიერების, მკვლევარების, ეკონომისტებისა და ფინანსისტების ნაშრომებს, საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას, სამეცნიერო-პრაქტიკულ ნაშრომებს, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდის მასალებს, ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშსა და ელექტრონულ-საძიებო საშუალებებს. კვლევა გამომდინარეობს ბაზელის კომიტეტის საბანკო ზედამხედველობის სტანდარტებიდან (ბაზელ I, ბაზელ II, ბაზელ III), ოფიციალურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული მასალებიდან და სტატისტიკური მონაცემებიდან.

**კვლევის მეთოდი.** ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი: მათემატიკური, სტატისტიკური, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის.

**კვლევის ძირითადი შედეგები და ნაშრომის სიახლე.** სამაგისტრო ნაშრომში ჩამოყალიბებულია ხედვა კომერციული ბანკების საქმიანობის თანმხლები პრობლემების კვლევისა და მისი შემდგომი სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ასევე, განხილულია საბანკო მენეჯმენტში განხორციელებული ახალი რეგულაციების მიზანშეწონილობა და გაანალიზებულია მათი გავლენა ქვეყნის ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.



**ნაშრომის სტრუქტურა.** სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 106 გვერდს და შედგება: შესავლის, სამი თავისა და ათი ქვეთავისაგან. ნაშრომს თან ერთვის დასკვნები, რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

# თავი I. კომერციული ბანკების მართვის სპეციფიკა თანამედროვე ეტაპზე

## 1.1. კომერციული ბანკების მართვა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურა

ისტორიულად, ისე ჩამოყალიბდა, რომ კომერციული ბანკი იყო უმნიშვნელოვანესი დაწესებულება, რომელიც მუშაობდა კერძო და კორპორაციული მეანაბრეების მიმდინარე ანგარიშებით და აფართოვებდა ქვეყანაში ფულის მასას.

თანამედროვე ეპოქაში კომერციული ბანკები ასეულობით ახალ-ახალ პროდუქციას ქმნიან.

კომერციული ბანკები - დაფინანსების ტრადიციული, უნივერსალური მექანიზმებია, რომლებიც ემსახურებიან მეანაბრეებსა და მსესხებლებს. მომხმარებლებს კომერციული ბანკის საშუალებით შეუძლიათ დეპოზიტების გახსნა და სესხის აღება. აღნიშნული საფინანსო შუამავლები თავიანთი რესურსების ფორმირებას ახდენენ ძირითადად საჩეკო-დეპოზიტური ანგარიშების (ანაბრები, რომელთა სანაცვლოდ შეიძლება გამოწერილ იქნეს ჩეკები), შემნახველ-დეპოზიტური ანგარიშების (ანაბრები, რომლებიდანაც შესაძლებელია ფულის ნებისმიერ დროს გამოტანა მეანაბრის სურვილის მიხედვით, მაგრამ რომლის მიხედვით მეანაბრეს არ შეუძლია ჩეკის გამოწერა) და ვადიანი დეპოზიტური ანგარიშების (ანაბრები, რომელთაგანაც სახსრების გამოტანა შესაძლებელია მხოლოდ ზუსტად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ) გახსნით.

კომერციული ბანკის ხელმძღვანელ ორგანოთა ფორმირება და ფუნქციონირება ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.<sup>1</sup>

რადგან კომერციული ბანკი სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით იქმნება, იგი უშუალოდ ექცევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების არეალში. ეს უკანასკნელი მოიცავს სააქციო საზოგადოების შექმნის, ჩამოყალიბებისა და რეგისტრაციის წესებს. ასევე, კომერციული ბანკების საქმიანობა რეგულირდება კანონით „კომერციული ბანკების

<sup>1</sup> კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, მუხლი 13.1.

საქმიანობის შესახებ“, ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ამჟამად, ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა 50 მილიონი ლარის ოდენობით განისაზღვრება.

მოზიდული სახსრები გამოიყენება კომერციული და სამომხმარებლო კრედიტების გასაცემად, უძრავი ქონების გირაოს ქვეშ სესხების გასაცემად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა და მუნიციპალური ობლიგაციების შესაძენად.

#### საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებია: <sup>2</sup>

- ❖ სს „თიბისი ბანკი“;
- ❖ სს „საქართველოს ბანკი“;
- ❖ სს „ლიბერთი ბანკი“;
- ❖ სს „ბაზის ბანკი“;
- ❖ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“;
- ❖ სს „ბანკი ქართუ“;
- ❖ სს „პროკრედიტ ბანკი“;
- ❖ სს „სილქროუდ ბანკი“;
- ❖ სს „ზირაათ ბანკი საქართველო“;
- ❖ სს "იმ ბანკი საქართველო“;
- ❖ სს „ტერა ბანკი“;
- ❖ სს „ხალიკ ბანკი საქართველო“;
- ❖ სს „პაშა ბანკი საქართველო“;
- ❖ სს „ფინკა ბანკი საქართველო“;
- ❖ სს „კრედო ბანკი“.

---

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

როდესაც ვსაუბრობთ საბანკო საქმიანობის მართვაზე, შესაძლოა გამოვყოთ მისი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა ამავედროულად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილი:

- ❖ კომერციული ბანკების მიერ საკუთარი საქმიანობის მართვა;
- ❖ საბანკო სისტემის, მათ შორის მისი შემადგენელი ელემენტების მართვა ეროვნული ბანკისა და სხვა სპეციალიზებული ორგანოების მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომერციული ბანკების მიერ საკუთარი საქმიანობის მართვა და მათი გარედან მართვა საბანკო სისტემის არცერთ ეტაპზე არ ხორციელდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და პარალელურად. პირიქით, ხორციელდება ბანკების მიერ საკუთარი საქმიანობის მართვისა და მათი გარედან მართვის ელემენტების ერთმანეთთან შერწყმა.

საბანკო მართვა უნდა იყოს იმ მიზნებისა და ამოცანების ადეკვატური და შესაბამისი, რომლებიც მართვის ობიექტისა და მართვის ორგანოების წინაშე დგას.

მართვის ხარისხი, საბოლოოდ, შემდეგ მახასიათებლებში ვლინდება:

- ❖ სოციალურ-ეკონომიკური (რენტაბელობა, კლიენტებთან ურთიერთობის ხარისხი და სხვა);
- ❖ ორგანიზაციული (საიმედოობა, ორგანიზაციულობა და სხვა);
- ❖ ტექნოლოგიური (ინოვაციურობა, ავტომატიზაციის დონე და სხვა);
- ❖ სოციალურ-ფსიქოლოგიური (სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ხელმძღვანელთა სტილი, კორპორატიულობა და სხვა).

საქართველოში კომერციული ბანკი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას და შესაბამისად მისი სტრუქტურული დანაყოფებია:<sup>3</sup>

**ბანკის სამეთვალყურეო საბჭო** - გამგეობა ანუ დირექტორატი მოიცავს უმაღლეს ხელმძღვანელობას.

**ხაზობრივი განყოფილებები** - ბანკის განყოფილებები, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი საბანკო მომსახურების წარმოებასა და მიწოდებაზე.


**შტაბური ინსტანციები** - ბანკის განყოფილებები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან გამგეობას ანუ დირექტორატს და ასრულებენ შესაბამის ფუნქციებს.

<sup>3</sup> ცუცქირიძე, გ. *საბანკო მენეჯმენტი, (ლექციების ციკლი)*; [www.abg.org.ge](http://www.abg.org.ge).

დამხმარე სამსახურები - ბანკის განყოფილებები, რომლებიც ასრულებენ განსაზღვრულ ფუნქციებს სხვა განყოფილებების გამართული ფუნქციონირებისა და საბანკო საქმიანობის ტექნიკური მხარდაჭერისათვის.

**ფილიალების ქსელის მქონე კომერციული ბანკების ტიპური ორგანიზაციული სტრუქტურა:<sup>4</sup>**

სქემა N1.



აღნიშნულ სქემაში წარმოდგენილია კომერციული ბანკების ტიპური ორგანიზაციული სტრუქტურა. აქ მოცემული სტრუქტურული ერთეულები (გარდა, აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოსი) შესაძლოა იყოს განსხვავებული სხვადასხვა ბანკის ჭრილში.

სხვადასხვა კომერციულ ბანკში ესა თუ ის სტრუქტურული ერთეული შეიძლება სხვადასხვა ბლოკში იყოს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ბანკებს გააჩნიათ საკუთარი მიდგომები და მეთოდები. ასევე, შესაძლოა თავად დასახელება განსხვავდებოდეს კონკრეტული ბანკის ჭრილში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული

<sup>4</sup> კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014, გვ.121.

ერთეულების მიკუთვნება „ფრონტ“, „მიდლ“ თუ „ბექ“ ოფისისათვის ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში კომერციული ბანკები იქმნება სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით, რაც განაპირობებს იმას, რომ მათი ხელმძღვანელი ორგანოების ფორმირება და ფუნქციონირება ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა კრება.

ცალკეულ ქვეყნებში არსებობს ბანკის ხელმძღვანელობის განსხვავებული ფორმებიც:<sup>5</sup>

- ❖ გამგეობა და პრეზიდენტი-გენერალური დირექტორი (აშშ, საფრანგეთი);
- ❖ სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა-დირექტორატი (საქართველო, გერმანია და დიდი ბრიტანეთი).

საქართველოში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში იყენებენ მართვის ერთი და იმავე, კოლექტიურ ფორმას - სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის სახით. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედის 3-დან 21-მდე პირი და მათი არჩევა ხორციელდება 4 წლის ვადით.

---

<sup>5</sup> ცუცქირიძე, გ. *საბანკო მენეჯმენტი, (ლექციების ციკლი)*; [www.abg.org.ge](http://www.abg.org.ge).

## 1.2. კომერციული ბანკების საქმიანობის თანმხლები პრობლემები

დღეისათვის, ვადაგადაცილებული სესხები ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მომხმარებლები ხშირად დაუფიქრებლად იღებენ კრედიტს და შემდეგ ვერ ახერხებენ თანხის გადახდას. ვადაგადაცილებული სესხები არის კლიენტებზე გაცემული სესხების ვადაგადაცილების შედეგად წარმოქმნილი დავალიანების თანხები, რომლებიც არ არის დაფარული საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. ასეთ სესხებს „პრობლემურ სესხებს“ უწოდებენ.


კრედიტი პრობლემურად ანუ ვადაგადაცილებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როცა ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა 90 დღით ან მეტი ხნით გვიანდება. ასევე, სესხი პრობლემურად შეიძლება ჩაითვალოს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებითაც. ბანკები თითოეულ კრედიტს ანიჭებენ თავის კატეგორიას მომხმარებლის გადახდებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს: სტანდარტული, საყურადღებო, არასტანდარტული, საეჭვო ან უიმედო. თუ მსესხებელი ვერ შეძლებს სესხის დაფარვას და მის წინააღმდეგ დაიწყება სააღსრულებლო წარმოება, მისი მონაცემები დაფიქსირდება მოვალეთა რეესტრში. შესაბამისად, ის ვერ შეძლებს უძრავი თუ მოძრავი ქონების გაყიდვას, სხვისთვის გადაცემას.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წლის პირველი ნოემბრისთვის კომერციულ ბანკებში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობამ მთლიანი სესხების 2.1% შეადგინა. 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში ვადაგადაცილებული სესხები მთლიანი სესხების 2.3%-ს შეადგენდა. 2018 წლის პირველი დეკემბრის მონაცემებით ეკონომიკის ვადაგადაცილებული სესხების ოდენობა 478,052 ლარს შეადგენდა. რაც შეეხება 2019 წელს, 2019 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობა შეადგენდა 428,068 ლარს, პირველი თებერვლის მდგომარეობით- 485,649 ლარს, პირველი მარტის მდგომარეობით - 477,657 ლარს, პირველი აპრილის მდგომარეობით- 486,301 ლარს, პირველი მაისის მდგომარეობით- 489,830 ლარს, ხოლო პირველი ივნისის მდგომარეობით კი- 499,152 ლარს.<sup>6</sup>

---

<sup>6</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

დიაგრამა 1. მთლიან სესხებში ვადაგადაცილებული სესხების წილი (2012-2017წწ).<sup>7</sup>




ლურჯი ღერძი მთლიანი სესხები, წითელი ღერძი მთლიან სესხებში ვადაგადაცილებული სესხების წილი. წყარო: ეროვნული ბანკი

<sup>7</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2017წ.




დიაგრამა 2. საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (2012-2018წწ).<sup>8</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 3. 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხები.<sup>9</sup>



\*2018 წლის ბოლოს არსებული მონაცემები. მონაცემებს შორის შესაძლოა იყოს რამდენიმეთვიანი განსხვავება. გამოყენებულია უახლესი ხელმისაწვდომი თარიღები.

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>8</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

<sup>9</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკებისათვის პრობლემას წარმოადგენს ვადაგადაცილებული სესხების არსებობა, რადგან ბანკი კარგავს მისაღები თანხის საკუთარ საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობას.

არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია ბანკებმა აპატიონ და ჩამოაწერონ კლიენტებს ვადაგადაცილებული სესხები, რადგან ვადაგადაცილებული სესხების აღიარებას გარკვეული პროცედურები და ხარჯები სჭირდება, ხოლო პატიების შემთხვევაში, ნაპატიები სესხი კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება. ამიტომ პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ბანკები ამ გადასახადისგან გათავისუფლდებიან, რაც უიმედო ვალების აღიარების სტიმულირებას მოახდენს. კანონპროექტით, სახელმწიფოს მხრიდან სტიმულირება ხდება და კომერციულ ბანკებს უფლება ენიჭებათ საკუთარი, შიდა კრიტერიუმების მიხედვით, ფიზიკურ პირებს ვადაგადაცილებული და პრობლემური სესხები ჩამოაწერონ. ინიციატივა მიზნად ისახავს საგადასახადო კოდექსში შევიდეს ცვლილება. სესხი, რომელსაც ბანკი ჩამოაწერს მოქალაქეს, ავტომატურად აღიქმება საჩუქრად, რადგან საგადასახადო კოდექსის თანახმად მას ერიცხება 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი. ინიციატივა მიზნად ისახავს, რომ ბანკებმა არ გადაიხადონ ეს 20%.

სხვადასხვა სახის დავალიანების ჩამოწერა და განულება ახალი მოვლენა არ არის. ფინანსური დავალიანებების ჩამოწერის სხვადასხვა მექანიზმი ჯერ კიდევ ძველ აღთქმაშია აღწერილი.

კრედიტი არის თანამედროვე ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და იგი ყველა ქვეყანაში არის გავრცელებული. თუმცა, კრედიტი პრობლემად გადაიქცევა მხოლოდ მაშინ, როცა მომხმარებელი ვეღარ იხდის სესხის თანხას.

ვალების ჩამოწერას ვრცელი ისტორია აქვს თანამედროვე მსოფლიოშიც. ასეთი გამოცდილება აქვს ჩინეთსა და სხვადასხვა აფრიკულ ქვეყნებს. მსოფლიოში, კერძო ფინანსური დავალიანების ჩამოწერის ორი მაგალითი შეიძლება განვიხილოთ. ესენია: სამხრეთ კორეისა და ხორვატიის მაგალითები:<sup>10</sup>

სამხრეთ კორეაში, მოქალაქეების კერძო ვალების ჩამოწერის პროექტი 1.6 მილიონ კორეულს შეეხო. ისინი წლების განმავლობაში ვერ იხდიდნენ კრედიტს და მათი

---

<sup>10</sup> [www.on.ge](http://www.on.ge)

ხელფასი 1000 დოლარის ადგილობრივ ექვივალენტს არ აღემატებოდა. დავალიანება "ბედნიერების ფონდის" თანხებით დაფინანსდა, რომელიც სახელმწიფო იყო.

რაც შეეხება ხორვატიას, 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვების შემდეგ ხორვატიის ხელისუფლებამ სახელმწიფო პროგრამა "ახალი სტარტი" გამოაცხადა. პროგრამის ფარგლებში ქვეყნის ყველაზე ღარიბ 60 ათას მოქალაქეს ყველანაირი ფინანსური დავალიანება გაუწულდა, მათ შორის კომუნალური დავალიანებებიც. პროექტის ფარგლებში დაფარულმა დავალიანებამ ჯამურად 500 მილიონი დოლარი შეადგინა. 2015 წელს ამ პროგრამას საერთაშორისო პროტესტი მოჰყვა. ბევრი ოპოზიციური პარტია მიიჩნევდა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ამ პროექტის გამოცხადებით ხელისუფლება ამომრჩევლის ნებაზე გავლენის მოხდენას ცდილობდა.

ხორვატიის მსგავსია ვალების ჩამოწერის ქართული გამოცდილება, როგორც ინიციატივის შინაარსით, ისე პოლიტიკური კონტექსტით.

მოსახლეობის ჭარბვალიანობასთან ბრძოლის პარალელურად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოს საგარეო ვალი. ეროვნული ბანკის ბოლო მონაცემებით, საქართველოს 5.2 მილიარდი ოდენობის საგარეო ვალი აქვს, რაც მიმდინარე გაცვლითი კურსით, დაახლოებით, 14 მილიარდი ლარია. ეს რიცხვი საგრძნობლად აღემატება 2019 წლის ბიუჯეტს, რომელიც 10.4 მილიარდი ლარით განისაზღვრა. ეს რიცხვები საქართველოსთვის რისკებს ქმნის. შესაძლოა, საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგში ქვეყნის პოზიციები გაუარესდეს, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა, კრედიტის გამვირება ან ვალის მუდმივი ზრდის შემთხვევაში კრედიტზე უარიც კი მოყვეს.<sup>11</sup>

ამის საპასუხოდ სახელმწიფომ განახორციელა ვალდებულების განულების პროგრამა, რომლის ფარგლებში საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ“ ბანკისაგან გამოსიყიდა ფიზიკური პირების ვადაგადაცილებული ვალდებულებები, უიმედო სესხები წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უიმედოა სესხი, როცა მისი ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდა 180 ან მეტი დღითაა ვადაგადაცილებული. ფინანსურ ორგანიზაციებს მსგავსი უიმედო სესხების გაყიდვის უფლება აქვთ. ეს

---

<sup>11</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

მათთვის მომგებიანი გარიგებაა, რადგან ასეთი სესხების ამოღება ან შეუძლებელია ან ძვირი.

საქართველოში, ვალების განულების პროგრამა გავრცელდა ისეთ პირებზე, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:<sup>12</sup>

- ❖ თითოეულ ფინანსურ კომპანიაში ვალის ძირი თანხის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2000 ლარს, თუმცა შესაძლოა, ჯამში 2000 ლარზე გაცილებით მეტი იყოს;
- ❖ მინიმუმ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ გადახდილა სესხის ნაწილი.

პრობლემური სესხების განულების პროექტში ჩაერთნენ შემდეგი ბანკები:<sup>13</sup>

- ❖ სს "საქართველოს ბანკი";
- ❖ სს "თიბისი ბანკი";
- ❖ სს "ლიბერთი ბანკი";
- ❖ სს "სილქ როუდ ბანკი";
- ❖ სს "ხალიკ ბანკი საქართველო";
- ❖ სს "იმბანკი საქართველო";
- ❖ სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია";
- ❖ სს "ბაზისბანკი";
- ❖ სს "ტერაბანკი";
- ❖ სს "კრედო ბანკი";
- ❖ სს "ფინკა ბანკი საქართველო".

და არასაბანკო საფინანსო ორგანიზაციები:

- ❖ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო" (სესხის გამცემი: lendo.ge, pino.ge, banko.ge);
- ❖ შპს "ემ.კოლექტორი" (სესხის გამცემი: sohocredit.ge);
- ❖ შპს "კრედიტ ექსპერტ ჯორჯია" (სესხის გამცემი: wandoo.ge, netcredit.ge, moneza.ge, credium.ge);

---

<sup>12</sup> [www.on.ge](http://www.on.ge).

<sup>13</sup> ვალების ჩამოწერის პროგრამა. [www.vali.ge](http://www.vali.ge).

- ❖ შპს "გრანატ კაპიტალ" (სესხის გამცემი: netcredit.ge, moneza.ge);
- ❖ შპს "გრანატ ინვესტმენტ" (სესხის გამცემი: vivus.ge);
- ❖ შპს "პრობლემური აქტივების ბიურო" (სესხის გამცემი: vivus.ge, amica.ge, moneybus.ge, wincredit.ge, moneyman.ge, mycredit.ge, netcredit.ge, moneza.ge, crediton.ge, lendo.ge, mamy.ge, ipuli.ge, okcredit.ge, credium.ge, solva.ge);
- ❖ შპს "ფინანსური ბიურო" (სესხის გამცემი: moneza.ge, mycredit.ge, netcredit.ge, vivus.ge);
- ❖ შპს "ფინანსური მონიტორინგის ბიურო" (სესხის გამცემი: vivus.ge);
- ❖ შპს "ფინანსური სექტორი" (სესხის გამცემი: ccloan.ge);
- ❖ შპს "კრედიტლაინი" (სესხის გამცემი: creditline.ge);
- ❖ შპს "UNIVERSAL SERVICE" (სესხის გამცემი: fastcredit.ge);
- ❖ სს "მისო ინტელექსპრესი" (სესხის გამცემი: inteliexpress.net);
- ❖ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ" (სესხის გამცემი: lendup.ge);
- ❖ სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი" (სესხის გამცემი: microfin.ge);
- ❖ შპს "მონლაინ" (სესხის გამცემი: mon.ge, gocash.ge, espresso.ge, kapiki.ge, loan.ge);
- ❖ შპს "საკრედიტო ისტორიათა ქართული ბიურო" (სესხის გამცემი: სს "პრივატბანკი");
- ❖ შპს "კრედიტ მენეჯმენტი" (სესხის გამცემი: vivus.ge);
- ❖ სს "მისო კრისტალი" (სესხის გამცემი: crystal.ge);
- ❖ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ემ ბი ეს" (სესხის გამცემი: masesxe.ge);
- ❖ სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სვის კაპიტალ" (სესხის გამცემი: swisscapital.ge);
- ❖ შპს "სვის კაპიტალ ავტო" (სესხის გამცემი: swisscapital.ge);
- ❖ სს "ზიპ კრედიტ" (სესხის გამცემი: zipcredit.ge);
- ❖ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია 4ფინანსი" (სესხის გამცემი: kimbi.ge, vivus.ge);
- ❖ სს "იკაპიტალი" (სესხის გამცემი: eloan.ge);
- ❖ სს მისო ქართული კრედიტი (სესხის გამცემი: georgiancredit.ge);
- ❖ შპს "პრობლემური აქტივების მართვის სააგენტო" (სესხის გამცემი: vivus.ge, mycredit.ge);

- ❖ შპს "ფინპორტი" (სესხის გამცემი: 1click.ge);
- ❖ შპს "ფრენდლი ფაინენს ჯორჯია" (სესხის გამცემი: mycredit.ge);
- ❖ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ქრიმ ფინანს ჯეორჯია" (სესხის გამცემი: crediton.ge);
- ❖ შპს "ინფინიტი ჰოლდინგი" (სესხის გამცემი: minicredit.ge);
- ❖ შპს "მისო ლიდერ კრედიტი" (სესხის გამცემი: leadercredit.ge);
- ❖ შპს "მინი სესხი";
- ❖ შპს "მონეზა" (სესხის გამცემი: moneza.ge);
- ❖ შპს "მოზო" (სესხის გამცემი: mozo.ge);
- ❖ შპს "მისტერ ლოუნ.ჯი" (სესხის გამცემი: mrloan.ge);
- ❖ RRM Limited (სესხის გამცემი: crediton.ge);
- ❖ შპს "ტვინო" (სესხის გამცემი: netcredit.ge);
- ❖ შპს "არკადია კაპიტალი" (სესხის გამცემი: unicredit.ge);
- ❖ შპს "ა რეიტინგი-დებიტორული ვალდებულებების მენეჯმენტი" (სესხის გამცემი: credium.ge);
- ❖ სს "კრედიტ პლუს ჯორჯია" (სესხის გამცემი: creditplus.ge);
- ❖ შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალიანს ჯგუფი";
- ❖ შპს "ემას კრედიტი" (სესხის გამცემი: emmascredit.ge);
- ❖ შპს "მისო ბერმელი" (სესხის გამცემი: bermeli.ge).

საბოლოოდ, სესხი 615 ათასზე მეტ ფიზიკურ პირს ჩამოეწერა, რომელთა სესხების ჯამური რაოდენობა 1,387,296 ლარს შეადგენს, ხოლო ჯამური დავალიანების თანხა 4,104,429,484 ლარია.<sup>14</sup>

არსებობენ ადამიანები რომლებიც ვალების განულების პროგრამის განხორციელებას სწორ ნაბიჯად მიიჩნევენ, მაგრამ, ასევე, არსებობენ აღნიშნული პროგრამის მოწინააღმდეგეებიც.

ფინანსთა მინისტრის, ივანე მაჭავარიანის შეფასებით, სესხების განულების ინიციატივა წარმატებით დასრულდა.<sup>15</sup>

<sup>14</sup> ვალების ჩამოწერის პროგრამა. [www.vali.ge](http://www.vali.ge).

<sup>15</sup> [www.on.ge](http://www.on.ge).

მისი თქმით, ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული ახალი რეგულაციები უზრუნველყოფს იმას, რომ მსგავსი სახის პრობლემები მეტად აღარ შეიქმნას.

მამუკა ხაზარაძე სესხების განულებას არასწორ ნაბიჯად მიიჩნევს და ამბობს, რომ „თიბისის“ 120 მილიონი სამ მილიონად ჩამოიწერა, იგი არ თვლის რომ აღნიშნული 120 მილიონი გასანულებელი იყო და დასძენს, რომ „თიბისის“ სულ სხვა გათვლები ჰქონდა.<sup>16</sup>

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ „ვალების პატიების პროგრამა“ ცალსახად დადებითად აისახება ერთი მხრივ, მასში მონაწილე ფიზიკური პირებზე, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი ემსახურება, ერთი მხრივ, ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, ფინანსური სექტორისათვის უიმედო სესხების გარკვეულ თანხად გაყიდვის შესაძლებლობას, ვინაიდან უიმედო სესხები ზედმეტ ტვირთად აწევს ფინანსურ სექტორს.

მეორე პრობლემა, რომელიც თან ახლავს კომერციული ბანკების საქმიანობას არის მათი დავალიანებები.

ბანკების საგარეო ვალდებულებების არაპროპორციული ზრდა მშპ-სთან, შეიცავს რისკებს და ნაკლებ რელევანტური ხდება გარე შოკების დროს. ანალოგიური შეიძლება ითქვას ქვეყნის საგარეო ვალზეც.

საბანკო სექტორმა გასულ წლებში მოიზიდა 2.7 მილიარდი დოლარი სესხების სახით უცხოური რესურსი, დასაბრუნებელმა თანხამ 4.4 მილიარდი დოლარი შეადგინა. ერთი თემაა, რომ ეს ორი მაჩვენებელი არ ედრება ერთმანეთს, რადგან მომსახურების ხარჯი გამოდის 50%-ზე მეტი, მეორე და უფრო სერიოზული პრობლემაა, რომ ეს მიმოქცევაში ლარის რაოდენობას ამცირებს: როდესაც ეს 2.7 მილიარდი დოლარი შემოიტანეს, ლარის კურსი იყო 1.7 ანუ ლარებში ბანკებმა შემოიტანეს 4.6 მილიარდი ლარი და გადასახდელი აქვთ 4.4 მილიარდი დოლარი, რაც დღევანდელი კურსით არის 11 მილიარდი ლარი ანუ ეკონომიკაში შემოიტანეს 4.4 მილიარდი ლარი და გააქვთ 11 მილიარდი.<sup>17</sup>

---

<sup>16</sup> [www.on.ge](http://www.on.ge).

<sup>17</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

ბანკების საგარეო ვალის მაჩვენებელი 2015 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 2,957,125 აშშ დოლარს, 2016 წლის 31 დეკემბერს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2,984,358 აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ეს მაჩვენებელი 3,686,741 აშშ დოლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება 2018 წელს, 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბანკების საგარეო ვალი შეადგენდა 3,808,451 აშშ დოლარს, 30 ივნისის მდგომარეობით - 3,779,453 აშშ დოლარს, ხოლო 30 სექტემბრის მდგომარეობით კი - 3,777,091 აშშ დოლარს. 2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით საბანკო სექტორის საგარეო ვალმა შეადგინა 4.2 მლრდ აშშ დოლარი (11.4 მლრდ ლარი).<sup>18</sup>

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ბანკების საგარეო ვალის მაჩვენებელი გაზრდილია. მომავალში ბანკებმა უნდა ეცადონ არ აიღონ ზედმეტი საგარეო ვალდებულებების ტვირთი, რომლის მომსახურებაც მძიმედ დააწვება ქვეყნის ეკონომიკას.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ კომერციულმა ბანკებმა საბანკო მომსახურების გაწევისას არ დაარღვიონ მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის მოთხოვნები.

2018 წლის განმავლობაში კომერციულ ბანკებში 6,358 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 73.5 პროცენტით აღემატება. ზოგადად, 2012 წლიდან კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების დინამიკა მუდმივად მზარდია, რაც ერთის მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ მომხმარებლებს საკუთარი უფლებების დაცვა შეუძლიათ და ამის შესახებ ინფორმირებულები არიან, თუმცა მეორეს მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ბანკებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო, მომხმარებლებთან ურთიერთობის დროს აუცილებელი წესის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით.<sup>19</sup>


ბოლო წლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება, თუმცა 2018 წელს კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პრეტენზიების რაოდენობა გაიზარდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ გაუმჯობესდა პრეტენზიების აღრიცხვის ფორმა, ასევე, სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილებები და გაუმჯობესდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მოთხოვნები.

<sup>18</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

<sup>19</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.



დიაგრამა 4. კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული პროექტენზიების სტატისტიკა (2012-2018წწ).<sup>20</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


გასული წლების განმავლობაში, ყველაზე ხშირად პროექტენზიები შემდეგ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა:

- ❖ მიმდინარე ანგარიშები;
- ❖ სამომხმარებლო სესხები;
- ❖ საკრედიტო ბარათები;
- ❖ მომენტალური განვადება.

აღნიშნული კანონზომიერება თითქმის უცვლელია წლების განმავლობაში, რაც ბუნებრივია, რადგან პროექტენზიების უმრავლესობა მოდის იმ საბანკო პროდუქტებზე, რომელთაც მომხმარებლები ყველაზე ხშირად იყენებენ.

<sup>20</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

დიაგრამა 5. პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით (2012-2018წწ).<sup>21</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მომხმარებელთა უფლებების შესახებ კვლევაზე მუშაობა 2015 წელს დაიწყო, რომელშიც რეგიონული მასშტაბით 6 კომერციული ბანკი იყო ჩართული. კვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებლებთან ურთიერთობისას ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობს. ძირითად შემთხვევებში, კომერციული ბანკები მომხმარებლებს ზეპირსიტყვიერად არ აცნობენ ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორცაა: კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ცვლილებები შევიდა ორგანულ კანონში “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ”, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ბანკს მიეცა სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს მთელ საფინანსო სექტორს (ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, საფონდო ბირჟები, ცენტრალური და სპეციალიზებული დეპოზიტარები, აქტივების მმართველი კომპანიები, ანგარიშვალდებული საწარმოები, საინვესტიციო ფონდები, საგადახდო სისტემის ოპერატორები და საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, ნაწილობრივ ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები). ასევე, ცვლილებები შევიდა კანონში “კომერციული ბანკების საქმიანობის” შესახებ, რომელთა უმრავლესობა მიმართულია

<sup>21</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

სექტორის ფინანსური მდგრადობის, გამჭვირვალობის ხელშეწყობისა და კორპორაციული მართვის კულტურის ასამაღლებლად.<sup>22</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ, ეს არის მიზეზი იმ რეგულაციებისა, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა შემოიღო და რომლებზეც მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.

ასევე, კომერციული ბანკებისათვის მნიშვნელოვანი არის იპოთეკის რეალიზაციის პრობლემა.

საქართველოში იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემა კვლავაც მწვავედ დგას. მოქალაქეთა ერთი ნაწილი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. 2018 წლის აპრილის მონაცემებით საჯარო რეესტრში 287 ათასი იპოთეკით დატვირთული ქონებაა რეგისტრირებული, საიდანაც მხოლოდ 42 ათასი მოდის კომერციული ბანკების წილად. დაახლოებით ერთი ამდენი გარანტიად აქვთ ჩადებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ხოლო 200 ათასამდე ერთეული ქონება კერძო მევახშეების ხელშია.<sup>23</sup>

პარლამენტში იპოთეკით დატვირთულ ქონებასთან მიმართებით შევიდა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა.

კანონპროექტის თანახმად, შემოდის ახალი ცნება „ბოლო საცხოვრისი“, რომელიც წარმოადგენს მსესხებელსა და მისი ოჯახის წევრზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთადერთ უძრავ ნივთს. თუ ფიზიკური პირი ვერ დაფარავს იპოთეკურ სესხს და ამავდროულად, ეს უძრავი ქონება მისი ერთადერთი სახლია ან თუ ფიზიკურ პირს კერძო მევახშესთან იპოთეკის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და ვერ დაფარავს თანხას, ბანკი ან მევახშე ამ ქონებას 3 წლის განმავლობაში ვერ გაყიდის.

საქართველოში იპოთეკით დაზარალებულთა რიცხვი მუდმივად დიდია და მოქალაქეთა უმრავლესობა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დიდ პრობლემებს აწყდება, სწორედ ამ პრობლემების მოგვარების მიზნით შევიდა პარლამენტში ეს ინიციატივა.

---

<sup>22</sup> [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

<sup>23</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <https://napr.gov.ge/>.

კანონპროექტში წერია:<sup>24</sup>

„თუ აღმასრულებლის მიერ დადგინდება, რომ საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს მოვალის და მისი ოჯახის წევრების ბოლო საცხოვრებელ სახლს აღმასრულებელი ვალდებულია შეაჩეროს სააღსრულებო საქმის წარმოება 3 წლის ვადით.

სააღსრულებო საქმის წარმოების შეჩერების პერიოდში მოვალე კრედიტორის სასარგებლოდ ყოველთვიურად იხდის ვალდებულების „საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების“ წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან.

ერთი წლის განმავლობაში 6 თვის სარგებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, აღმასრულებელი კრედიტორის განცხადების საფუძველზე განაახლებს იძულებითი აღსრულების საქმის წამოებას და „სააღსრულებო წამოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად სარეალიზაციოდ მიაქცევს მოვალის ბოლო საცხოვრისს.

გარდა ამისა, კანონპროექტის თანახმად, თუ სამი წლის შემდეგაც არ დაფარავს მოვალე თანხას, აღმასრულებელს უფლება ეძლევა, რომ გაასხვისოს უძრავი ქონება; ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის ბოლო საცხოვრისი უკვე რეალიზებულია, მაგრამ ის იძულებით არაა იქედან გამოყვანილი, ამ კანონის ამოქმედებიდან 3 წლის განმავლობაში, მას შეუძლია გამოისყიდოს გასხვისებული ქონება თანხის იმ ოდენობით, რამდენადაც გაიყიდა უძრავი ქონება აუქციონზე იძულებით, ხოლო თუ ამ ვადაშიც არ გამოისყიდის გასხვისებულ ქონებას, მაშინ კანონიერ მესაკუთრეს შეუძლია ეს ქონება გამოითხოვოს უკვე სასამართლოს გზით.“

კანონპროექტის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ამ ფორმით დადგენილი რეგულირების შემთხვევაშია შესაძლებელი კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ურთიერთობების დაბალანსება და მოქალაქეების დაცვა უსახლკაროდ დარჩენისგან.

კანონპროექტი ხელს შეუწყობს იმ პირთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლისთვისაც იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენს

---

<sup>24</sup> [www.commersant.ge](http://www.commersant.ge).

ბოლო საცხოვრისს. ამასთან, აღნიშნული კანონპროექტი გავლენას მოახდენს კრედიტორების ფინანსურ მდგომარეობაზე, რამდენადაც კანონპროექტის მიხედვით, სააღსრულებლო წარმოება შეჩერდება მინიმუმ 6 თვით და მაქსიმუმ 3 წლით. ამ პერიოდში კი კრედიტორი მიიღებს კანონპროექტით განსაზღვრულ შემოსავლებს.

ჩვენი აზრით, მოქალაქეებისთვის ეს არის დადებითი მოვლენა. რაც შეეხება ბანკებს, არც ისინი დარჩებიან წაგებულნი. დადგენილი არ არის, რომ კომერციული ბანკები უნდა ფლობდნენ უძრავ ქონებას, რადგან დავალიანების დაფარვის მომენტშივე ბანკმა აუქციონზე უნდა მოახდინოს ქონების რეალიზაცია და დაფაროს სესხის ვალდებულება, დანარჩენი თანხა კი თავდაპირველ მესაკუთრეს უბრუნდება. სამწუხაროდ, საქართველოში ასე არ ხდება და დღევანდელ რეალობაში, იპოთეკის რეალიზაციის საკითხი წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას ორივე მხარისათვის.

რეგულაციები განხორციელდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაშიც. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილი სესხის მისაღებად აუცილებელი იქნება მსესხებელს საკუთრებაში ჰქონდეს საცხოვრებელი ქონება ერთი ან უფრო მეტი, გარდა ამისა, ის საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ამჟამად ცხოვრობს, არ უნდა იყოს დატვირთული სესხის უზრუნველსაყოფად;

პირი, რომელსაც ერთზე მეტი საცხოვრებელი არ ექნება, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის აღებას ვეღარ შეძლებს.

ამასთანავე, შეიზღუდება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გაცემის ვადა, მაქსიმალური ვადა იქნება 10 წელი, ხოლო იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა იქნება 15 წელი.<sup>25</sup> როგორც ვიცით, იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება - ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი.

თუ მსესხებელი ზემოხსენებულ პირობებს არ აკმაყოფილებს, ბანკმა თუ მიკროსაფინანსო კომპანიამ უნდა შეაფასოს და გამოიკვლიოს – რამდენად არის მსესხებელი გადახდისუნარიანი და მხოლოდ ამის მიხედვით გასცეს სესხი.

---

<sup>25</sup>საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

## თავი II. ახალი რეგულაციები საბანკო მენეჯმენტში

### 2.1. საბანკო რეგულირება, როგორც ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემის, მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-სამართლებრივი ელემენტი

მას შემდეგ რაც განვიხილეთ საბანკო საქმიანობის მართვა და მართვის ხარისხი ზოგადად, დავახასიათოთ საბანკო მენეჯმენტი.

საბანკო მენეჯმენტი - საბანკო საქმიანობის და საბანკო სფეროში დასაქმებული პერსონალის მართვის მეცნიერული სისტემაა, რომლის მიზანია მიკრო და მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიღწევა.

მიკროეკონომიკურ პრიორიტეტებს მიეკუთვნება: საბანკო დაწესებულებების საიმედოობა, ბანკისა და მისი კლიენტების რესურსების დაცულობა და შემოსავლიანობა.

მაკროეკონომიკური პრიორიტეტები ძვეს ეროვნული ფულადი ერთეულის სტაბილიზაციასა და ეკონომიკაში მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენებაში.

ქვეყნის საფინანსო სისტემაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ-სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს საბანკო რეგულირება, ზედამხედველობა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ბანკებისათვის შეზღუდვების დაწესებას, რათა მათი საქმიანობა იყოს წარმატებული და შესაბამისობაში მოდიოდეს მომხმარებელთა ინტერესებთან. ეს რეგულაციები განსხვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომლებიც სხვა იურიდიულ პირებს წაეყენებათ.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავარი მიზანი არის კომერციული ბანკების სტაბილურობის, საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, აგრეთვე მოსალოდნელი რისკების თავიდან არიდება და ამ გზით კომერციული ბანკების წარმატებული ფუნქციონირების ხელშეწყობა და მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალური დაცვა.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მთავარი ამოცანა არის მომხმარებელთა უფლებების დაცვა და საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, ამრიგად, საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა არა კონკრეტული მომხმარებლის დაცვა, არამედ მთლიანად საბანკო სისტემის

სტაბილურობის შენარჩუნება. მისი მთავარი ამოცანაა არ დაუშვას კრიზისი საბანკო სფეროში, როცა ამის საშიშროება არსებობს.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში საბანკო ზედამხედველობის განუვითარებლობა იწვევს:

- ❖ მომხმარებლების მიერ კომერციული ბანკების მიმართ ნდობის დაკარგვას;
- ❖ კლიენტებს არ აქვთ კომერციული ბანკის რაციონალურად არჩევის შესაძლებლობა, რადგან არ არსებობს გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი ინფორმაცია ბანკების შესახებ;
- ❖ მომხმარებლების მხრიდან პანიკური დამოკიდებულების არსებობის მაღალ შესაძლებლობას;
- ❖ საკრედიტო რესურსების შესაძლო გადინებას სხვა უფრო განვითარებული და მდგრადი საბანკო სისტემის მქონე ქვეყნების ბანკებში, რაც ადგილობრივი საბანკო სისტემის განვითარებაზე ახდენს უარყოფით გავლენას.

სწორედ ამ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით და საბანკო სფეროს სტაბილურობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ქვეყანას გააჩნდეს მაღალგანვითარებული საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემა.

საქართველოში 1991 წლიდან შეიქმნა სათანადო საკანონდებლო და ნორმატული ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი უნივერსალური საბანკო სისტემა, რამაც განაპირობა საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებზე პასუხისმგებლობის გადატანა სახელმწიფოდან კომერციულ ბანკებზე. ორსაფეხურიანი უნივერსალური საბანკო სისტემის მხარეებს წარმოადგენდნენ ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ, კი თავად კომერციული ბანკები.

ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სუბიექტი, რომელსაც ყველაზე კარგად შეუძლია უზრუნველყოს მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი არის მხოლოდ სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია:

- ❖ საბანკო სისტემაში დიდი რაოდენობის რესურსების ჩაბმაში;
- ❖ ეკონომიკის განვითარებასა და სტაბილურობის ამაღლებაში;
- ❖ საბანკო სფეროში მოსალოდნელი სისტემური კრიზისების თავიდან არიდებაში.

როგორც საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის განვითარების და სრულყოფის პროცესში უდიდესი როლი ენიჭება ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგების დანერგვას. კარგი იქნება თუ ეს ყოველივე გათვალისწინებული იქნება საქართველოს საბანკო სისტემის ზედამხედველობისა და რეგულირების განხორციელების პროცესშიც.

გარდა ამისა, საბანკო სისტემის რეგულირებისა და ზედამხედველობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალის საკმარისობის დადგენას.

კომერციული ბანკის საწესდებო კაპიტალი მრავალ ფუნქციას ასრულებს. როგორც ვიცით, კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, შესაბამისად იგი ბანკს აძლევს შესაძლებლობას, რომ გაუთვალისწინებელი ხარჯების წარმოქმნის შემდეგაც განაგრძოს საკუთარი საქმიანობა და არ აღმოჩნდეს ფინანსურ კრიზისში. გარდა ამისა, კაპიტალის მეშვეობით ხორციელდება ბანკის მიერ საკუთარი საქმიანობის წარმართვისათვის და საბანკო საქმიანობის წამოწყებისათვის აუცილებელი აქტივების შექმნა. როგორებიცაა: შენობები და მოწყობილობები. აგრეთვე, კაპიტალის საშუალებით ხორციელდება ისეთი ხარჯების გაწევა, რომლებიც აუცილებელია მომხმარებელთა დეპოზიტების მოზიდვისათვის და შემდომ სესხების გაცემისათვის. რაც უფრო დიდია ბანკის კაპიტალი, მით უფრო დიდია მომხმარებელთა ნდობა ბანკისადმი, ყოველივე ეს განაპირობებს მომხმარებელთა კმაყოფილებას და ბანკის წარმატებულ ფუნქციონირებას. კაპიტალი არის განმსაზღვრელი ბანკის სამომავლო გაფართოების, რაც გულისხმობს მისი აქტივების, ოპერაციებისა და შეთავაზებული პროდუქტების რაოდენობის ზრდას.

ასეთი მიდგომა გამომდინარეობს იმ მოსაზრებებიდან, რომ:

- ❖ ფიზიკური პირების, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის დიდი რაოდენობით თავისუფალი სახსრები ინახება ბანკებში, რომელთა უსაფრთხოების დაცვა წარმოადგენს ბანკების უმთავრეს ამოცანას.
- ❖ ამა თუ იმ ბანკის გადახდისუნარიობამ შეიძლება მიგვიყვანოს საბანკო სისტემის კრიზისამდე, რომელსაც სავალალო შედეგი მოაქვს, არა მხოლოდ, ცალკეული სუბიექტებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის;



- ❖ ინფორმაციის სიმწირის ან არ არსებობის გამო ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება ამა თუ იმ ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

სწორედ ამ სამი მიზეზის არსებობა განაპირობებს კაპიტალის საკმარისობის დადგენის აუცილებლობას.

## 2.2. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, ინვესტორებისა და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, ეკონომიკის ფინანსური მხარდაჭერა წარმოადგენს ზოგადად, საბაზრო პრინციპების სრულყოფისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას, რათა საქართველო გადაიქცეს ინვესტორებისათვის მიმზიდველ ქვეყანად. ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისათვის, აუცილებელია ხელშემწყობი პირობების შექმნა, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნისა და ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით, როგორც საბიუჯეტო, ასევე საგადასახადო სფეროში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ჯანსაღი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, ვინაიდან საკანონმდებლო ბაზის მოუწესრიგებლობა ხელს უშლის კომერციული ბანკების მიერ გრძელვადიანი კრედიტების გაცემას ეკონომიკური სექტორისათვის, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფინანსური მხარდაჭერა იძლევა მხოლოდ მოკლევადიან ეფექტს და გრძელვადიან პერიოდში მისგან მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება, კერძოდ, ეკონომიკის აღმავლობისა და განვითარების უზრუნველყოფა შეუძლებელია. იგი, ძირითადად, მიმართულია მოკლევადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ.

კომერციული ბანკებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ დაიცვას მათი ინტერესები მსესხებლების მიერ სასესხო დავალიანებების დაბრუნებასთან

დაკავშირებით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ კომერციული ბანკები საბანკო სექტორის დაკრედიტების გაფართოებას. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ აუცილებელია სახელმწიფომ შექმნას კრედიტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვის სპეციალური ინსტიტუტები, რათა ამით სტიმული მისცეს კომერციული ბანკების მიერ საბანკო სექტორის დაკრედიტების გაფართოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საბანკო სექტორის დაკრედიტებისაკენ მიმართულ ნებისმიერ ღონისძიებას არ ექნება შესაბამისი, სათანადო ეფექტი.

საბანკო საქმიანობის პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკები საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისაგან თავს იკავებენ, რაც გამოწვეულია აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მაღალი რისკის გამო. არსებული სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია თუ სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება შესაბამისი მხარდაჭერა და რეალური გარანტიები.

ასევე, სახელმწიფოს დიდი როლი ენიჭება ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებაში, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებლები შიშის გარეშე განათავსებენ თავისუფალ სახსრებს მათ მიერ წინასწარ შერჩეულ ბანკში და არ ექნებათ განცდა, რომ მათი დეპოზიტები დაუცველია.

ზემოთ აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალი არის დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც არსებობს.

კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევა ხელს უწყობს საბანკო რისკების ოპტიმალურ მართვას, რაც საბოლოო ჯამში, ბანკებს გაკოტრებისაგან, ხოლო საბანკო სისტემას კი კრიზისისაგან იცავს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკის მეანაბრების დაცვას იმ დანაკარგებისაგან, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს ბანკს მაღალრისკიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას. მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს ამცირებს ბანკის მიერ განხორციელებული საკრედიტო ოპერაციების ადეკვატური შეფასება, დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დეპოზიტების დაზღვევის სიტემა.

საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის არის საბანკო დეპოზიტების საიმედოობის უზრუნველყოფის

ლონისძიებების შემუშავება და გატარება, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საბანკო დეპოზიტების დაზღვევის შემოღების აუცილებლობას და საბანკო სისტემის კრიზის შემთხვევაში დაცულს ხდის ბანკის მენაბრეთა თავისუფალ სახსრებს.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემას ადმინისტრირებას უწევს სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო. სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა შეიქმნა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, არსებობს დეპოზიტების დაზღვევის ფონდი, რომლის საშუალებითაც იფარება სააგენტოს საოპერაციო ხარჯები. საქართველოს კანონის შესაბამისად „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, ნებისმიერი კომერციული ბანკის გადახდისუნარიობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს დეპოზიტების შეუფერხებელ ანაზღაურებას.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია (სსიპ), რომელიც 2017 წლის 24 ივლისს დაარსდა, საქართველოს კანონის შესაბამისად „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“.<sup>26</sup> სააგენტოს მთავარი ფუნქციაა საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკში არსებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების დეპოზიტების დაზღვევა. საქართველოს კანონის შესაბამისად „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, ნებისმიერი კომერციული ბანკის გადახდისუნარიობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო 20 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს დეპოზიტარების კუთვნილი თანხების შეუფერხებელ ანაზღაურებას დადგენილი თანხის ფარგლებში.<sup>27</sup>

სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა ჩამოყალიბდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი. სააგენტოს უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საბჭოს გადაწყვეტილებით. სააგენტოს ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და კომერციული ბანკების მიერ შერჩეული 2 დამოუკიდებელი წევრის შემადგენლობით. სააგენტოს

<sup>26</sup> საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

<sup>27</sup> საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააგენტოს უფროსი თანამდებობაზე ინიშნება 5 წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ მისი თანამდებობაზე ხელახლა დანიშნვა შეზღუდული არ არის. სააგენტოში, ხელმძღვანელის ჩათვლით, 5 თანამშრომელია - ფინანსური ექსპერტი/ანალიტიკოსი, იურისტი, ანაზღაურების ექსპერტი და ადმინისტრაციის სპეციალისტი. 2017 წლის სექტემბერში, სააგენტოს უფროსის თანამდებობაზე, ღია კონკურსის გზით, შეირჩა და დაინიშნა ოთარ ძიძიკაშვილი.<sup>28</sup>

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უზრუნველყოფს ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, ფინანსური სტაბილურობის და უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია და იცავს დეპოზიტარს ანაბარზე განთავსებული კუთვნილი თანხების დაკარგვისგან, დადგენილი თანხის ფარგლებში.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ცხადყო, რომ ყველაზე ძლიერი ეკონომიკისა და ჯანსაღი მარეგულირებლის არსებობის პირობებშიც ფიქსირდება ბანკების გადახდისუნარიობის შემთხვევები, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მნიშვნელობას. საქართველოში აღნიშნული სისტემა მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით და ჯანსაღი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით დაინერგა.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამა თუ იმ ფორმით, თითქმის, ყველა ქვეყანაში ფუნქციონირებს, მათი ეკონომიკის თავისებურებების მიხედვით. 1980-იანი წლებიდან ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა, რაც 1994 წლიდან უკვე აუცილებელი გახდა ევროკავშირის ქვეყნებისთვის. დეპოზიტების დაზღვევის შემოღება უმეტესწილად მოსდევს საბანკო კრიზისებს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1980-1990-იან წლებში 60-დან 40 ქვეყანაში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ამოქმედდა საბანკო კრიზისების პერიოდში. იგი ამ დროისთვის მსოფლიოს 114-მდე

---

<sup>28</sup> საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის ყველა ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს.<sup>29</sup>

ახლა განვიხილოთ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის ისტორია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში:<sup>30</sup>

პირველი ქვეყანა, სადაც დამკვიდრდა დეპოზიტების დაზღვევა, იყო ჩეხოსლოვაკია, მაგრამ საბანკო რეგულირების სისტემაში უფრო სერიოზულ ისტორიულ ეტაპს წარმოადგენდა ამ სისტემის შემოღება ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც დიდი დეპრესიის შემდეგ დაარსდა. როგორც ცნობილია, 1933 წელს აშშ-ში დაფუძნდა დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია, რომლის წევრიც, აუცილებელი წესით, გახდა ყველა ფედერალური ბანკი. ის 5,844 საბანკო დაწესებულებაში განთავსებულ 6.7 ტრილიონი დოლარის დეპოზიტებს აზღვევს, ფონდის კაპიტალი კი 75 მილიარდ დოლარს შეადგენს. აშშ-ში დეპოზიტების დაზღვევის ლიმიტი \$270,000-ია.

1971 წელს საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ჩამოყალიბდა იაპონიაში, სადაც დეპოზიტების დაზღვევის კორპორაცია ერთ მეანაბრეზე 10 მლნ. იენს (68,000 აშშ დოლარი) ანაზღაურებს, ხოლო სადაზღვევო პრემია 0.012%-ს შეადგენს.

გერმანიაში საბანკო დეპოზიტების დაცვის ფონდი 1976 წლიდან ფუნქციონირებს და მას გერმანული ბანკების ფედერალური ასოციაცია (არა სახელმწიფო) ხელმძღვანელობს, მასში მონაწილეობა ნებაყოფლობით პრინციპზეა აგებული და ყოველწლიური გადასახადი ბანკის სრულ ვალდებულებათა 0.03%-ს შეადგენს. ამასთან, ერთ მეანაბრეზე გარანტირებულია საბანკო კაპიტალის 30%-ის გადახდა. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს აქ 1982 წელს შეიქმნა მეანაბრეთა დაცვის ფონდი, რომელიც 20 000-მდე ფუნტ სტერლინგს (350,000 აშშ დოლარამდე) 75%-ს ანაზღაურებს. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყნების ნაწილმა, რომელთაც გააჩნდათ საბანკო დეპოზიტების დაზღვევის მეტ-ნაკლებად განვითარებული სისტემა 30-ს მიაღწია.

1993 წლის ივლისში ჩეხეთის რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა ქვეყნის კომერციულ ბანკებში საბანკო დეპოზიტების დაზღვევა შემოიღო. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აქ საბანკო დეპოზიტების დაზღვევა გავრცელდა ყველა მეანაბრეზე

<sup>29</sup> [www.credy24.ge](http://www.credy24.ge).

<sup>30</sup> ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეებისა და ფინანსისტებისათვის, [www.aaf.ge](http://www.aaf.ge).

(გარდა ბანკებისა), ფიზიკური პირის ანაბრებზე, ბანკის გაკოტრების შემთხვევაში, ყოველ მენაბრეს ეძლევა 80% მისი შენატანი თანხიდან, მაგრამ არაუმეტეს 100 ათასი კრონისა (3 ათასამდე აშშ დოლარი). რაც შეეხება დაზღვევის პრემიას, რომელიც გაიცემა ჩეხეთის ბანკების მიერ დამზღვევ ფონდში, იგი წელიწადში შეადგენს დაზღვეული ანაბრების თანხის 0.5%-ს.

ჩეხეთის შემდგომ საბანკო დეპოზიტების დაზღვევის სისტემა შემოღებული იქნა პოლონეთში (1996 წლის თებერვალი). ასევე, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა შეიქმნა რუსეთშიც.

საქართველომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედების ვალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შედეგად აიღო, რის შედეგადაც საქართველოში 2018 წლის იანვრიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ყველა პირს, რომელთაც თანხა ქართულ კომერციულ ბანკში აქვს განთავსებული, სპეციალური სახელმწიფო ფონდი, კერძოდ დეპოზიტების დაზღვევის ფონდი აზღვევს. კომერციული ბანკის გაკოტრების შემთხვევაში დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო მენაბრეების ზარალს 5,000 ლარამდე თანხით აანაზღაურებს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უფასო არ არის, მის საფასურს კომერციული ბანკები ყოველთვიურად გადაიხდიან სახელმწიფო ფონდში. აღნიშნული საკომისიო შეადგენს ბანკში განთავსებული ლარის დეპოზიტების 0.067%-ს და უცხოური ვალუტის დეპოზიტების შემთხვევაში 0.1%-ს. ბანკებს ამ თანხის გადახდის ვალდებულება ყოველი მომდევნო თვის 15 რიცხვამდე ექნებათ.<sup>31</sup>

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ხელმძღვანელის, ოთარ ძიძიკაშვილის შეფასებით, მთავარი დადებითი ეფექტი, რაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემას აქვს არის კრიზისის ეფექტის შერბილება.

"დაზღვევის ამოქმედება არამარტო საბანკო სექტორის, არამედ მთლიანად საფინანსო სექტორის სტაბილურობას გაზრდის და ის უფრო დაცული გახდება შოკებისგან. ეს ნიშნავს, რომ კრიზისის შემთხვევაში ბანკი უფრო ძლიერ პოზიციაში იქნება, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა. კომერციულ ბანკს რომ დაუდგეს ლიკვიდობის პრობლემა, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემთხვევაში ეს პრობლემა სხვა ბანკებზე უფრო ნაკლებად გადავა.


---

<sup>31</sup> [www.tabula.ge](http://www.tabula.ge).

თუ რომელიმე ბანკი გაკოტრდება, თქვენც ავტომატურად გიჩნდებათ კითხვა, ჩემი ბანკიც ხომ არ გაკოტრდება და ამ მოლოდინის გამო, მოსახლეობის ნაწილი სხვა ბანკებში არსებულ დეპოზიტებსაც გამოიტანს. მოქალაქეები მიდიან და კეთილსინდისიერი ბანკიდანაც გამოაქვთ დანაზოგები, დეპოზიტების გადინების დაწყება კი, სხვა ბანკებზე გადასვლის შემთხვევაში მთლიანად სექტორს უქმნის საფრთხეს.

როდესაც მოქალაქემ იცის, რომ მისი თანხის უკან არის გარანტია, ის აღარ გამოიტანს დეპოზიტს".<sup>32</sup>

**დიაგრამა 6. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა, ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები, 2019წ. (ლარი)<sup>33</sup>**



2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა 23,980,656,098 ლარს შეადგენდა. მათ შორის, ფიზიკური პირების დეპოზიტები 12,497,862,595 ლარია, ხოლო იურიდიული პირების - 11,482,793,502 ლარი.

2019 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა 24,090,387,323 ლარს


<sup>32</sup> [www.tabula.ge](http://www.tabula.ge)

<sup>33</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მონაცემების საფუძველზე.

შეადგენდა. მათ შორის, ფიზიკური პირების დეპოზიტები 12,749,514,587 ლარია, ხოლო იურიდიული პირების - 11,340,872,736 ლარი.

2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების საერთო მოცულობა 25,036,702,886 ლარს შეადგენდა. მათ შორის, ფიზიკური პირების დეპოზიტები 13,317,626,781 ლარია, ხოლო იურიდიული პირების - 11,719,076,105 ლარი.

**დიაგრამა 7. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, 2019წ. (ლარი)<sup>34</sup>**



2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები 12,497,862,595 ლარი იყო (ეროვნულ ვალუტაში - 3,208,041,926 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 9,289,820,670 ლარის ეკვივალენტი).

2019 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები 12,749,514,587 ლარი იყო (ეროვნულ ვალუტაში - 3,358,900,948 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 9,390,613,639 ლარის ეკვივალენტი).

<sup>34</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მონაცემების საფუძველზე.



2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული ფიზიკური პირების დეპოზიტები 13,317,626,781 ლარი იყო (ეროვნულ ვალუტაში - 3,439,602,669 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 9,878,024,113 ლარის ეკვივალენტი).

**დიაგრამა 8. საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული იურიდიული პირების დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, 2019წ. (ლარი)<sup>35</sup>**



2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული იურიდიული პირების დეპოზიტები შეადგენდა 11,482,793,502 ლარს (ეროვნულ ვალუტაში - 5,726,595,912 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 5,756,197,590 ლარის ეკვივალენტი).


2019 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული იურიდიული პირების დეპოზიტები შეადგენდა 11,340,872,736 ლარს (ეროვნულ ვალუტაში - 5,610,371,802 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 5,730,500,934 ლარის ეკვივალენტი).

2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში არსებული იურიდიული პირების დეპოზიტები შეადგენდა 11,719,076,105 ლარს

<sup>35</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მონაცემების საფუძველზე.

(ეროვნულ ვალუტაში - 5,931,865,378 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 5,787,210,727 ლარის ეკვივალენტი).

**დიაგრამა 9. საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების საერთო მოცულობა, 2019წ. (ლარი)<sup>36</sup>**



2019 წლის 31 მარტის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა სულ 1,650,143,876 ლარს შეადგენდა, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში დაზღვეული იყო 1,002,514,144 ლარის მოცულობის დეპოზიტები, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 647,629,732 ლარის ეკვივალენტი.

2019 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა სულ 1,706,787,972 ლარს შეადგენდა, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში დაზღვეული იყო 1,054,755,406

<sup>36</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მონაცემების საფუძველზე.

ლარის მოცულობის დეპოზიტები, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 652,032,567 ლარის ეკვივალენტი.

2019 წლის 31 მაისის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემით დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა სულ 1,728,802,603 ლარს შეადგენდა, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში დაზღვეული იყო 1,067,578,883 ლარის მოცულობის დეპოზიტები, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 661,223,720 ლარის ეკვივალენტი.


მენაბრეთა 96%-ს საკუთარ ანგარიშებზე განთავსებული აქვთ 5,000 ლარამდე მოცულობის თანხა, შესაბამისად დეპოზიტების დაზღვევა პრაქტიკულად სრულად მოიცავს ქვეყანაში არსებული მენაბრეების 96%-ს.

კანონის თანახმად, ფონდის ძირითად წყაროს წარმოადგენენ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გადახდილი პირველადი, რეგულარული და სპეციალური სადაზღვევო შენატანები. დეპოზიტების დაზღვევის ფონდში პირველადი, ერთჯერადი შენატანი განისაზღვრა 100,000 ლარით, რომელიც მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა, კანონის შესაბამისად, 2017 წლის დეკემბერში გადაიხადეს. ნებისმიერი ახალი ბანკი ანალოგიურ ერთჯერად შენატანს ლიცენზიის მიღებიდან 30 დღის ვადაში გადაიხდის. რეგულარული შენატანი წარმოადგენს ყოველთვიურ სადაზღვევო პრემიას, რომელსაც ბანკები იხდიან საკუთარი შემოსავლებიდან, ლარში დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 0.067%, ხოლო უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 0.1%-ის ოდენობით. სპეციალური შენატანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ფონდში არ არის საკმარისი თანხა დაზღვეული დეპოზიტების ასანაზღაურებლად. სპეციალური შენატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი ოდენობის 1%-ს 1 კალენდარული წლის განმავლობაში.<sup>37</sup>

---

<sup>37</sup> საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

დიაგრამა 10. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის 2019 წლის მარტის, აპრილისა და მაისის რეგულარული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა (ლარი)<sup>38</sup>



„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის და „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანის გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის 2019 წლის მარტის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ჯამურმა ოდენობამ 1,319,587.89 ლარი შეადგინა, რომელიც ბანკებმა 2019 წლის აპრილში დაფარეს, ხოლო „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის და „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანის გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად,

<sup>38</sup> საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის 2019 წლის აპრილის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ჯამურმა ოდენობამ 1,365,229.62 ლარი შეადგინა, რომელიც ბანკებმა 2019 წლის მაისში დაფარეს. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის და „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანის გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის 2019 წლის მაისის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის ჯამურმა ოდენობამ 1,366,672.32 ლარი შეადგინა, რომელიც ბანკებმა 2019 წლის ივნისში დაფარეს.

ზუსტად რა თანხა იქნება მიღებული კომერციული ბანკებიდან დამოკიდებულია სხვადასხვა პარამეტრზე, მათ შორის ხელფასებისა და დანაზოგების მატების ტემპზე, ვალუტის კურსზე, ვინაიდან ფიზიკური პირების დეპოზიტების დიდი ნაწილი სწორედ უცხოურ ვალუტაშია და ზოგადად, ეკონომიკურ ზრდაზე. შესაბამისად სხვადასხვა პარამეტრი განაპირობებს იმას, თუ რა თანხა იქნება მიღებული კომერციული ბანკებიდან.

სადაზღვევო შენატანები, რომლებსაც იხდიან კომერციული ბანკები განთავსდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდში. დეპოზიტების დაზღვევის ფონდი არის დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომლის მართვის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“. კანონის თანახმად, ფონდის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ გადახდილი პირველადი, რეგულარული და სპეციალური სადაზღვევო შენატანები.<sup>39</sup>

დეპოზიტების დაზღვევის ფონდში არსებულ თანხებს მართავს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, ასევე ამ ფონდის მართვის უფლებამოსილება გააჩნიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს და ეროვნულ ბანკს. აღნიშნულ ფონდში აკუმულირებული თანხებით ხდება მეანაზრეების თანხების ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს. ფონდში განთავსებული

---

<sup>39</sup> საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

სახსრების ინვესტირება ხორციელდება ურისკო აქტივებში და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული მოგება ირიცხება ისევ ფონდის ანგარიშზე.

ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, ინვესტირება ემყარება დივერსიფიკაციის, უსაფრთხოებისა და რისკის ადეკვატური მართვის პრინციპებს და ხორციელდება მხოლოდ საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოშვებულ, ლარით დენომინირებულ სავალო ფასიან ქაღალდებში.

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი გადასახადის სახით მიღებულ თანხას ფასიანი ქაღალდების ადგილობრივ ბაზარზე დააბანდებს. ამ თანხით დაბალი რისკიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების შესყიდვა მოხდება. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ფონდში აკუმულირებულ თანხას გარკვეული საპროცენტო განაკვეთიც დაერიცხება, რაც ფონდის მოცულობის ზრდას ხელს შეუწყობს.

შეიძლება ითქვას, რომ ფონდის არსებობიდან 5 წლის თავზე, პირველი სამი ბანკის შემდეგ ნებისმიერი ბანკის გაკოტრების ან მთელი სისტემის მორღვევის შემთხვევაში ფონდში იქნება საკმარისი თანხა, რათა დეპოზიტარები დაკმაყოფილდნენ. ფონდში ყოველ წელს გადაირიცხება თანხა, ამას კიდევ დაერიცხება საპროცენტო სარგებელიც.

**მორალური რისკები, რაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემას ახლავს თან.<sup>40</sup>** დეპოზიტების დაზღვევის სისტემას თან გარკვეული რისკებიც ახლავს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გარეშე ანაბრის თანხების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია უშუალოდ კომერციული ბანკი და რეგულატორი, კერძოდ ეროვნული ბანკი ან სხვა უწყება.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის და ამ სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ ჩნდება მესამე მოთამაშე ანუ ანაბრის თანხების უსაფრთხოებაზე ახლა პასუხისმგებელია: კომერციული ბანკი, რეგულატორი და ცენტრალური დეპოზიტარი, რომელიც კრიზისის შემთხვევაში მენაბრეებს კუთვნილ ანაბრის თანხას სრულად დაუბრუნებს.

---

<sup>40</sup> [www.tabula.ge](http://www.tabula.ge).

დეპოზიტების დაზღვევას თან ახლავს სხვადასხვა მორალური რისკი. კერძოდ, ამ სისტემის არსებობა კომერციულ ბანკებს აძლევს რისკიანი გარიგებების წარმოების სტიმულს, რომელთაც არ აწარმოებდნენ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის არ არსებობის შემთხვევაში. რისკის მიმართ კომერციული ბანკების უფრო ლოიალურ დამოკიდებულებას განაპირობებს ის, რომ კრიზისის შემთხვევაში მისი ვალდებულებები მეანაბრეების წინაშე შესრულებული იქნება დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მიერ. ამიტომ, მნიშვნელოვანია რეგულატორმა გააკონტროლოს კომერციული ბანკები, რათა მათ არ მიიღონ მონაწილეობა რისკიან გარიგებებში. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი ნერგავს ბაზელ 3-ის საბანკო რეგულაციებს, რომელიც კომერციული ბანკების ლიკვიდობისა და დაკრედიტების სისტემის სიღრმისეული ანალიზისა და კონტროლის საშუალებას იძლევა.

კომერციულ ბანკსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობაში დამატებითი მონაწილის, დეპოზიტების დაზღვევის ფონდის გაჩენამ შესაძლოა, ბაზარზე ზოგიერთი მომხმარებლის ქცევა შეცვალოს. თუ მეანაბრეები წარსულში თანხის შესანახად უპირატესობას ანიჭებდნენ შედარებით სტაბილურ, მაგრამ დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე ბანკებს, ახლა შესაძლოა უპირატესობა მიანიჭონ უფრო რისკიან კომერციულ ბანკებს, რომლებიც შედარებით უფრო მაღალ სარგებელს იძლევიან.

გარდა ამისა, შესაძლოა შეიცვალოს მომხმარებლების ქცევაც. ვინაიდან დეპოზიტების დაზღვევის შედეგად, მომხმარებლებმა იციან, რომ ისინი გარანტირებულად მიიღებენ ანაბარზე განთავსებულ კუთვნილ თანხებს, ისინი სრულყოფილად ან საერთოდ არ ინტერესდებიან ბანკების საქმიანობით, კერძოდ, არ აინტერესებთ რამდენად რისკიან ინვესტიციებს ახორციელებს ბანკი მათ ანაბარებზე განთავსებული თანხებით. და პირიქით, ქვეყანაში, სადაც არ მოქმედებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, მეანაბრე გულდასმით აკვირდება ბანკის ქცევას, რათა დარწმუნდეს, რომ მას არ შეექმნება ანაბრის თანხის უკან დაბრუნების პრობლემა.

**კრიზისის ალბათობა.** ის თუ, რა არის, შემდგომ წლებში საბანკო კრიზისის ალბათობა რთული დასადგენია და ზუსტი პროგნოზის გაკეთება თითქმის შეუძლებელია, თუმცა მის დაბალ ალბათობაზე მიგვანიშნებს დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გადასარიცხი საკომისიოს მცირე მოცულობა (0.1%).

**დეპოზიტების დაზღვევის ეფექტიანი სისტემა უზრუნველყოფს:**

- ❖ საბანკო სექტორისადმი მომხმარებლების ნდობის ამაღლებას;
- ❖ კომერციული ბანკების თავისუფალი სახსრების მოცულობის ზრდას, დეპოზიტარების თანხების საშუალებით;
- ❖ კომერციული ბანკის ფინანსურ მდგრადობას.
- ❖ მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობასა და გამლიერებას;

**დეპოზიტების დაზღვევის სისტემას შუძლია შემდეგი პრობლემების გადაწყვეტა:**

- ❖ ცალკეული ბანკებისა და მთლიანად საბანკო სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ❖ გაკოტრების ზღვარზე მყოფი ბანკების ფინანსური მხარდაჭერა;
- ❖ მეანაბრების დაცვა ანაბრების თანხის სრულად დაკარგვისაგან;

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმ მორალური რისკებისა, რაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემას გააჩნია მისი არსებობა აუცილებელია საბანკო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის, აგრეთვე, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მათი დეპოზიტების უსაფრთხოებისათვის. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ის დადებითი ეფექტები, რომლებიც თან ახლავს ქვეყანაში აღნიშნული სისტემის არსებობას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია და გადაწონის უარყოფით მხარეებს.



### 2.3. ახალი მიდგომები კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვაში

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდობის მართვის ახალი წესები დაამტკიცა. ახალ წესებს ბანკები ბაზელ III-ის საერთაშორისო რეგულაციების სტანდარტებზე გადაჰყავს. ახალი სისტემა ძველისაგან განსხვავდება ცალკეული პარამეტრებით, კერძოდ ის უფრო მეტ ფინანსურ დეტალს ითვალისწინებს, რის შედეგადაც ერთის მხრივ, გაიზრდება კომერციული ბანკების დაცულობა საბანკო კრიზისების მიმართ, მეორეს მხრივ კი კომერციულ ბანკებს ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბევრად მეტი ხარჯების გაწევა მოუწევთ. მისი დანერგვა, ასევე, რეკომენდირებული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2014 წლის "ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP)" ფარგლებში.

ეროვნული ბანკის განცხადება ცვლილებასთან დაკავშირებით:<sup>41</sup>

"ბაზელ III-ის LCR (ლიკვიდობის მართვის კოეფიციენტი) წარმოადგენს მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვის საერთაშორისოდ გავრცელებულ, თანამედროვე და ეფექტურ მიდგომას და ამ ტიპის რისკების უფრო სრულყოფილი იდენტიფიკაციის, შეფასებისა და კონტროლის საშუალებას იძლევა.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის გამოთვლისას "მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებს" ვუფარდებთ "მთლიან წმინდა ფულად გადინებას", სადაც "წმინდა ფულადი გადინება" არის ფინანსური სტრესის 30-დღიანი პერიოდში "ფულად გადინებასა" და "ფულად შემოდინებას" შორის სხვაობა.


არასტრესულ პერიოდში ჯამურად ყველა ვალუტის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 100 პროცენტზე ნაკლები. შედეგად, ბანკი უნდა ფლობდეს საკმარის ლიკვიდურ აქტივებს, რომ ფინანსური სტრესის დროს გაუმკლავდეს მოსალოდნელ გადინებებს. ამისთვის, საჭიროა ბანკმა შეინარჩუნოს ადეკვატური ლიკვიდობის მარაგი, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს გაუმკლავდეს მოსალოდნელ სხვაობას ლიკვიდური სახსრების შემოდინებასა და გადინებას შორის 30-დღიანი სტრესულ პერიოდში.

<sup>41</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლიკვიდურად ითვლება კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ბანკში განთავსებული უცხოური ვალუტის მინიმალური სავალდებულო რეზერვების 75 პროცენტი, ხოლო ლარით - 100 პროცენტი.“

LCR-ის 100 პროცენტის დაცვა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისა და უცხოეთის ბანკის ფილიალისთვის სავალდებულოა 2017 წლის 1 სექტემბრიდან. აღსანიშნავია, რომ მისი დანერგვა საქართველოს საბანკო სისტემაში 2012 წლიდან დაიწყო და აქამდეც გამოიყენებოდა ლიკვიდობის რისკის კონტროლისათვის.

**დიაგრამა 11. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (2014-2018წწ).<sup>42</sup>**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბაზელ III-ის მოთხოვნებთან დასაახლოებლად ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის 3 მაისს გამოსცა ბრძანება, რომლითაც კომერციულ ბანკებს ლიცენზიის მისაღებად კაპიტალის მინიმალური მოცულობა გაეზარდათ. ადრე მოქმედი წესების მიხედვით, პირს თუ ჰქონდა მინიმუმ 12 მილიონი ლარი, კომერციული ბანკის ლიცენზიის მიღება შეეძლო, აღნიშნული ცვლილებით კი 2018 წლის 31 დეკემბრიდან ბანკების მინიმალური კაპიტალის მოცულობა 50 მილიონამდე გაიზარდა. კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის ზრდა 4 ეტაპად განხორციელდა. კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო: ა) არანაკლებ 12 (თორმეტი) მილიონი ლარი 2017 წლის 30

<sup>42</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

დეკემბრამდე; ბ) არანაკლებ 30 (ოცდაათი) მილიონი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის; გ) არანაკლებ 40 (ორმოცი) მილიონი ლარი 2018 წლის 30 ივნისისათვის; დ) არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მილიონი ლარი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. ამ ცვლილებამ ორწლიანი გარდამავალი პერიოდი დაუწესა გარკვეულ ბანკებს, რადგანაც რამდენიმე კომერციული ბანკის კაპიტალის მოცულობა 50 მილიონზე ნაკლები იყო ( ზირაათ ბანკი, ფინკა ბანკი).<sup>43</sup>

ამ ბანკებს იმისათვის, რომ ახალი რეგულაციებისთვის ეპასუხათ, საკუთარი კაპიტალი უნდა გაეზარდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიას დაკარგავდნენ. ახალი რეგულაციის დასაკმაყოფილებლად მათ ესაჭიროებოდათ მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსების დახარჯვა, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა მათი საბანკო პროდუქტების ღირებულებაზე. დღესდღეობით, აღნიშნული ბანკები განაგრძობენ მოღვაწეობას ბაზარზე.

კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვაში მსოფლიო ქვეყნების გამოცდილებამ ცხადყო, რომ განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ბანკების უფლება ლიკვიდობის მინიმალური სავალდებულო ნორმის დაწესებაზე შეზღუდულია, ვინაიდან ამ ნორმების დადგენა ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე.

---

<sup>43</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

## 2.4. ეროვნული ბანკის რეგულაციები სესხების უზრუნველყოფის საკითხში

ჭარბვალთანობის პრობლემას გამოეხმაურა ეროვნული ბანკი და შემოღებულ იქნა ახალი რეგულაციები, რომლის თანახმადაც კომერციული ბანკებისთვის პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მოთხოვნები იქნა შემოღებული.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში სწრაფად იზრდება შინამეურნეობების დავალიანებები და ასევე, იმ ფიზიკური პირების დაკრედიტება რომელთაც ვალის მაღალი ტვირთი აქვთ შემოსავლებთან მიმართებაში.

ადრე, მომხმარებელს თავად შეეძლო გადაეწყვიტა სესხს რა ვადით აიღებდა, დღესდღეობით, კი ახალი რეგულაცია განსაზღვრავს სესხების ალების ვადას. ამ რეგულაციის მიხედვით სესხების ალების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად:

სამომხმარებლო სესხი შეიძლება აიღოს მაქსიმუმ 4 წლის ვადით;

ავტო სესხი – მაქსიმუმ 6 წლით;

იპოთეკური სესხი – მაქსიმუმ 15 წლის ვადით;

უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი – მაქსიმუმ 10 წლით;

- ❖ ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლები სესხს ვერ აიღებენ შემოსავლების დადასტურების გარეშე;
- ❖ სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განახევრდა და 100%-დან ჩამოვიდა 50%-მდე;
- ❖ ალებულ სესხზე დარიცხული ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 150%-ს.

სესხის გაცემისას, სავალდებულო გახდა შემოსავლების შემოწმება და ამავდროულად, განისაზღვრა სესხის მაქსიმალური ლიმიტი, რათა მომხმარებელმა კრედიტის გადახდა მარტივად შეძლოს და ფინანსური სიძნელეები არ შეექმნას;

დადებითი მხარე: ფართოდ ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჭარბვალთანობის მსხვერპლია. ამ რეგულაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჭარბვალთანობის შემცირებაა, კერძოდ მომხმარებლები რომლებთაც არ აქვთ

შემოსავალი ვერ შეძლებენ სესხის აღებას და ვალების დაუსრულებელ ჭაობში ჩაფლობას.

გარდა ამისა, შეზღუდვის დაწესება გამოიწვევს სესხების რესტრუქტურისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ანუ იგი დაექვემდებარება არსებულ ლიმიტს, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ჭარბვალთანობის შემცირებას;

უარყოფითი მხარე: მომხარებლები რომლებთაც არ აქვთ შემოსავლები დადასტურებული და არ არიან სამსახურში ოფიციალურად გაფორმებულნი ვეღარ შეძლებენ სესხის აღებას და ვერც განვადებით ვეღარ შეიძენენ მათთვის საჭირო ნივთებს.

ასე გამოიყურება შემოსავლების მიხედვით განსაზღვრული ყოველთვიური გადახდების პროცენტები:

**ცხრილი 1. შემოსავლების მიხედვით განსაზღვრული ყოველთვიური გადახდების პროცენტები.<sup>44</sup>**

ყოველთვიური წმინდა შემოსავლების მოცულობა ლარში	არაკვირბული მსახურებისთვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტაქტო შენატანების შემთხვევაში	კვირბული მსახურებისთვის მაქსიმალურ ვადიანობაზე/საკონტაქტო შენატანების შემთხვევაში
<b>&lt;1,000</b>	<b>20% / 25%</b>	<b>25% / 35%</b>
<b>1,000-2,000</b>		<b>35% / 45%</b>
<b>2,000-4,000</b>	<b>25% / 30%</b>	<b>45% / 55%</b>
<b>&gt;4,000</b>	<b>30% / 35%</b>	<b>50% / 60%</b>

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 იანვრამდე, მომხმარებელს სესხის დაახლოებით 300%-ის გადახდა უწევდა, ამ დროიდან შემოღებული კანონის შედეგად კი ეს მაჩვენებელი 100%-ამდე დავიდა, ხოლო რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, საპროცენტო მაჩვენებელი 49%-ს აღარ გადაცდება, ანუ მომხმარებელს მინიმუმ 6-ჯერ ნაკლები თანხის გადახდა მოუწევს, ვიდრე ეს 2017 წლამდე ხდებოდა. აღნიშნული რეფორმა პირდაპირ არის მიმართული ჭარბვალთანობის შესამცირებლად და მიუხედავად კომერციული ბანკების მცირე ნაწილის კრიტიკისა, მას დადებითად აფასებს მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი სარეიტინგო ორგანიზაცია Moody's -ი.<sup>45</sup>

<sup>44</sup> <https://space.ge/>

<sup>45</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

ასევე, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება მომხმარებლისთვის სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტის პირადი შეთავაზებებისას მას მიაწოდოს ინფორმაცია შეთავაზებული პროდუქტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

ეს მოთხოვნა ვრცელდება, ისეთი დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით პროდუქტის შეთავაზებაზე, როგორებიცაა: ინტერნეტ-ბანკი, ბანკომატი, ფეი-აპარატი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ა.შ. ადრე, კომერციული ბანკები ვალდებულნი იყვნენ სარეკლამო შეტყობინებებში მიეთითებინათ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ეს შეტყობინება შეიცავდა პროდუქტის ფასს. დღეს, ამ რეგულაციის მიხედვით, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან რომ სარეკლამო შეტყობინებაში ნებისმიერ შემთხვევაში მიუთითონ წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ამასთან, როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, ცვლილებებით განისაზღვრა ფინანსურ ორგანიზაციასა და მომხმარებელს შორის დისტანციური კომუნიკაციის საშუალებებით ხელშეკრულებების დადების წესი, რაც, მათ შორის, გულისხმობს მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და შეთავაზების პირობების წინასწარ მიწოდებასა და ამ ინფორმაციის შემდგომ ხელმისაწვდომობას, ასევე მომხმარებელთან ზეპირი კომუნიკაციის სტანდარტებს. ზემოთ აღნიშნული ცვლილება შესაბამისობაშია "მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის" შესახებ ევროდირექტივის მოთხოვნებთან.<sup>46</sup>

გარდა ამისა, კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან სესხზე დარიცხული პროცენტის გამოთვლისას გამოიყენონ ყოველდღიური დარიცხვის პრინციპი. ასევე, შეიცვალა, დაიხვეწა და უფრო მრავლისმომცველი გახდა სასესხო ხელშეკრულების შაბლონები, რათა მათი შინაარსი იყოს ადვილად გასაგები და მომხმარებელი იყოს ინფორმირებული სესხთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის შესახებ.

ამ რეგულაციით კომერციულ ბანკებს შეეზღუდათ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე სესხების გაცემა საზედამხედველო კაპიტალის 25%-ზე მეტად. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან

---

<sup>46</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge>.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, უზრუნველყოფის ღირებულების ფარგლებში. ამასთან, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს და სესხის გაცემისას, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Loan to Value Ratio) კი 50%-ზე მეტი არ უნდა იყოს.<sup>47</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ამ რეგულაციაზე მუშაობს ჯერ კიდევ 2014 წლიდან, ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტებისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების წახალისების მიზნით. ამ პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, ჯანსაღი საკრედიტო სტანდარტებისა და პასუხისმგებლიანი დაფინანსების წახალისების მიზნით გადადგმულ იქნა ისეთი თანმიმდევრული ნაბიჯები, როგორებიცაა: მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებების გატარება, მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა და სხვა.

ამ უკანასკნელი ღონისძიებით ფიზიკურ პირებზე გაცემული და სტანდარტულად კლასიფიცირებული სესხებისათვის განისაზღვრა "სესხის მომსახურებისა" (ე.წ. PTI – payment to income ratio) და "სესხის უზრუნველყოფის" (LTV – Loan to value ratio) კოეფიციენტების მინიმალური მოთხოვნები. შესაბამისად, 2017 წლის 1 დეკემბრიდან გაცემულ სესხებზე, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ PTI-სადა LTV-ის განსაზღვრულ ლიმიტებს, კომერციულ ბანკებს მკვეთრად გაეზარდათ საზედამხედველო ტვირთი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების კუთხით. აღნიშნულმა ღონისძიებებმა თავისი დადებითი ეფექტი მოახდინა ბაზრის სტრუქტურასა და დინამიკაზე.<sup>48</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკმა კარგად იცოდა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა ჭარბვალურობის კუთხით და სწორედ ამიტომ დაიწყო მუშაობა აღნიშნულ რეგულაციაზე. 2018 წლის მარტში ეს საკითხი განიხილა ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა.

<sup>47</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

<sup>48</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბერამდე უნდა დანერგოს.

ამ დროისთვის, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სამომხმარებლო სესხების მოცულობა 2,3 მილიარდ ლარს აჭარბებს და ეს მაჩვენებელი ყოველთვიურად იზრდება, მთლიანობაში ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები 3,3 მილიარდი ლარია. ეკონომისტების განმარტებით, წინა წლებში საგარეო ვალების ზრდის ფონზე სამომხმარებლო სესხების ზრდა მიმოქცევაში ლარისა და დოლარის მოცულობებს აბალანსებდა. 2013 წლიდან საქართველომ საგარეო ვალის აქტიური დაფარვა დაიწყო, ამიტომ სამომხმარებლო სესხების იმავე რაოდენობის შენარჩუნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. ეკონომისტების გათვლებით, თუკი შეიზღუდება სამომხმარებლო სესხები, ბანკები იძულებულები გახდებიან ბიზნესპროექტები მოიზიდონ და ფული ეკონომიკის რეალურ სექტორში დააბანდონ.<sup>49</sup>

ეროვნული ბანკის განმარტებით, შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

მათი აზრით, ეს რეგულაცია შეამცირებს ჭარბვალიანობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, იგი პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნასთან, რაც პირდაპირ პროპორციულად უზრუნველყოფს ქვეყანაში მეტი ინვესტიციის მოზიდვას, ბიზნესის განვითარებასა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც დადებითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე თითოეულ მოქალაქეზე.

რეგულაციას მიესალმება არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება დროული და აუცილებელია.

---

<sup>49</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი . [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).



„საკმაოდ კარგი ინიციატივაა, რადგან ფაქტია, რომ შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა არ შეიძლება. თავად კომპანიებიც დაინტერესებული ვართ, რომ სესხის აღების შემდეგ მოქალაქე გადახდისუნარო არ გახდეს. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მზად იქნება მოსახლეობა ამ ცვლილებისთვის და რას იზამენ ის ადამიანები, რომელთაც არ აქვთ დადასტურებული შემოსავალი და ყოველდღიურად იღებენ სხვადასხვა სესხს. ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა ტიპის სესხებზე იქნება აღნიშნული მოთხოვნა.“<sup>50</sup>

ექსპერტთა ერთი ნაწილი კომერციული ბანკების მხრიდან მოსახლეობაზე სხვადასხვა ტიპის წნეხზე საუბრობს. მათი აზრით, ბანკები გარკვეული ფორმით ზეგავლენას ახდენენ კლიენტებზე, რათა მათ სესხი აიღონ. ისინი იყენებენ ზეგავლენის მოხდენის ისეთ ფორმებს როგორებიცაა: სარეკლამო შეტყობინებები, სარეკლამო განცხადებები სხვადასხვა ადგილებში, სესხის აღების დროს სხვადასხვა საკრედიტო წინადადებები. ეს ხდება მაშინ როცა ბანკს არანაირი ინფორმაცია არ აქვს შეთავაზების ობიექტის ფინანსური მდგომარეობისა და მისი გადახდისუნარიანობის შესახებ.

სპეციალისტთა დიდი ნაწილი მაღალ საპროცენტო განაკვეთზე ამახვილებს ყურადღებას.

რა განსაზღვრავს მაღალ საპროცენტო განაკვეთს?

პირველი — ეს არის საბანკო სექტორის მიერ მონოპოლიზებული ფინანსური ბაზარი და თავად საბანკო სისტემაში არსებული მონოპოლია;

მეორე — მომხმარებელთა დაბალი გადახდისუნარიანობა.

მესამე — ეს არის კერძო სექტორისა და კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობა.

აღნიშნული დებულება სესხის გამცემი ყველა ორგანიზაციისათვის ერთდროულად, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ანალოგიური ტიპის რეგულაცია ბოლო პერიოდში ევროპის რამდენიმე ქვეყანაში დაინერგა (მაგალითად: უნგრეთში, შვედეთში, დანიაში, ლიეტუვაში, ჩეხეთში, ესტონეთში და სხვა).

---

<sup>50</sup> <http://akhalitaoba.ge/2018>.

## 2.5. კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები

2017 წელს დამტკიცდა და უკვე ამოქმედდა ბაზელ 3-ის ჩარჩოზე დაფუძნებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი“,<sup>51</sup> რომლის მიხედვითაც ბანკები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია კაპიტალის, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების, მენეჯმენტის ანაზღაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, ე.ი ბანკების საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და მომხმარებელს უნდა შეეძლოს ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება. სწორედ კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და ბანკების ფუნქციონირების გამჭვირვალობის ამაღლებისაკენ არის მიმართული ეროვნული ბანკის მიერ მიღებული „კორპორაციული მართვის დებულება“ და „ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი“.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის ბრძანებით დამტკიცდა ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი".<sup>52</sup>

ამ წესის მიხედვით კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის გამოქვეყნება მოითხოვება კვარტალური და წლიური პერიოდულობით. ეს მოთხოვნა გულისხმობს როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი ინფორმაციის გამოქვეყნებას ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნებული კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის, რისკების მართვის, ანაზღაურებისა და კაპიტალის ლიკვიდურობის შესახებ.

მოცემული ბრძანებით უქმდება არსებული "კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესი" და როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადგენილი ინფორმაციის გამოქვეყნება კვარტალური და წლიური პერიოდულობით მოითხოვება.

---

<sup>51</sup> კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

<sup>52</sup> კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

ამ წესის მიხედვით ახალი კვარტალური ანგარიშგება ანაცვლებს ამჟამინდელს. გარდა ამისა, კომერციული ბანკები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ წლიური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინფორმაციას კორპორაციული მართვის, რისკების მართვის, ანაზღაურებისა და კაპიტალის ლიკვიდურობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს დაასრულა ბაზელის კომიტეტმა პილარ 3-ის განახლებულ ვერსიაზე მუშაობა და იგი წარმოადგენს ბაზელ III-ის რეფორმის ნაწილს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი დაამტკიცა, რის შემდეგაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს ეროვნული ბანკის 2014 წლის 17 ივნისის ბრძანება. აღნიშნული კოდექსის მიზანია კომერციული ბანკების კორპორაციულ მართვაში არსებული საერთაშორისოდ აღიარებული მოწინავე პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება საბანკო სექტორის ეფექტურ ფუნქციონირებასა და მდგრადობაზე.<sup>53</sup>

კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრინციპები და სტანდარტები ეფუძნება დღეს არსებულ ძირითად სახელმძღვანელოებს, ევროკავშირის რიგ დირექტივებსა და იმ ქვეყნების პრაქტიკას, რომლებიც მოწინავედ ითვლებიან შესაბამისი საკითხების მოწესრიგებაში.

კორპორაციული მართვის კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებს კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, იგი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას, მათ როლსა და ფუნქციებს, აგრეთვე, კორპორაციული მართვის, რისკების მართვის, შიდა აუდიტისა და ანაზღაურების სტანდარტებს.

კოდექსის მიხედვით, კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ერთ მესამედს საბჭოს დამოუკიდებელი წევრები უნდა წარმოადგენდნენ და არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს ქალი. აღნიშნული მოთხოვნები ეფუძნება სხვადასხვა კვლევას, რომელთა მიხედვითაც, სამეთვალყურეო საბჭოში მდებარეობითი სქესის წარმომადგენლის არსებობა ამცირებს კონფლიქტებს და რისკიან გადაწყვეტილებებს.

---

<sup>53</sup> კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

<sup>54</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>.

ქალები, საშუალოდ, უფრო მეტად არიან რისკის მიმართ ნეგატიურად განწყობილები, ვიდრე მამაკაცები.

ზემოთ აღნიშნული საკითხების გარდა, კოდექსი განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სხვადასხვა კომიტეტის შექმნის საკითხებს, ასევე, დირექტორატის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, შიდა აუდიტთან, თანამშრომელთა ანაზღაურებასთან და რისკების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.<sup>55</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 9 ივლისის ბრძანებით დამტკიცდა "ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი კომერციული ბანკებისთვის". კოდექსის მიზანია საბანკო სექტორში ეთიკისა და საბანკო საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის განვითარებასა და წარმატებულ ფუნქციონირებას, ასევე, მის მიმართ საზოგადოებისა და ინვესტორების ნდობის ამაღლებას.<sup>56</sup>

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნები ხელს უწყობს საბანკო სექტორის გამჭვირვალობის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება საბანკო სფეროში არსებულ ვითარებაზე.

---

<sup>55</sup> კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

<sup>56</sup> ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).

## 2.6. გალარების სახელმწიფო პროგრამა

სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება და ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირება, რათა გაუმჯობესდეს თითოეული მოქალაქის ყოველდღიური ყოფა. მათ შორის ერთ-ერთ ასეთ პროგრამას წარმოადგენს ლარიზაციის პროგრამა, რომელიც სახელმწიფოს მხარდაჭერით 2017 წელს განხორციელდა. გალარების აქცია წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივ პროგრამას.

ლარიზაციის პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ლარის კურსის გაუფასურება, რომელმაც ამ პერიოდში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით 1\$ ღირდა 2,70 ლარი.<sup>57</sup>

ზოგადად, რას ნიშნავს ლარიზაცია ?

ლარიზაცია - ეს არის პროცესი, რომლის დროსაც იზრდება ეროვნული ვალუტის, საქართველოს შემთხვევაში- ლარის, როლი ეკონომიკაში. ეს განსაკუთრებულ გავლენას ახდენს საბანკო კრედიტებზე, ვინაიდან ამ დროს ბანკები სესხებს უმეტესად მხოლოდ ლარში გასცემენ.

რისთვის გვჭირდება ლარიზაცია ?

ლარიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობებს ეროვნული ვალუტის როლის ზრდას ეკონომიკაში და იწვევს ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტების წილის ზრდას მთლიან სესხებში. უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხი მსესხებელს უფრო დიდ ტვირთად აწევს, ვიდრე ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ვალუტის კურსი ყოველთვის მყარი არ არის და მუდმივად იცვლება. შესაბამისად, ვალუტის კურსის ზრდა იწვევს სესხის გადასახდელი თანხის გაძვირებას. ამიტომ, იმისათვის, რომ მომხმარებელი არ იყოს დამოკიდებული

<sup>57</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

ვალუტის კურსის ცვალებადობაზე, არ მოუხდეს გაცილებით დიდი თანხის გადახდა და ეს რისკი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი უმჯობესია სესხის ლარში აღება, ვინაიდან იგი არის ნაკლებად სარისკო და წინასწარ მარტივად პროგნოზირებადი.

ლარიზაციის პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო და იგი ეხებოდა ყველა ფიზიკურ პირს, რომელთა წლიური შემოსავალი, 2015 წლის განმავლობაში, არ აღემატებოდა 100 ათას ლარს. ლარიზაციის პროგრამა ამოქმედდა 2017 წლის 17 იანვრიდან. ამ პროგრამის ფარგლებში ფიზიკური პირების მიერ 2015 წლის პირველ იანვრამდე აღებული სესხების კონვერტაცია იყო შესაძლებელი. ამასთან, აღნიშნულ სესხებზე აღარ მოქმედებდა სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო.

უფრო კონკრეტულად, ლარიზაციის პროგრამა შეეხოთ იმ პირებს, რომელთა სესხის ნაშთი 2015 წლის პირველი იანვრისთვის არ იყო 40 ათას დოლარზე მეტი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მათ 2015 წლის პირველი იანვრიდან 2016 წლის 28 ნოემბრამდე სესხი ჰქონდათ დაფარული, 2016 წლის 28 ნოემბრისათვის არსებული ნაშთის სუბსიდია განახორციელა მთავრობამ. მთავრობამ არ განახორციელა სუბსიდია იმ პირებზე, რომელთა წლიური შემოსავალი 2016 წელს 100,000 ლარზე მეტი იყო, ან 2016 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, სესხის მომსახურე ბანკში მისი სესხის ძირითადი თანხის ჯამური დავალიანება აღემატებოდა 100,000 აშშ დოლარს. ასევე, სუბსიდირება არ შეეხოთ იმ პირებს, რომელთა წლიური შემოსავალი 2015 წელს 100,000 ლარს აღემატებოდა.<sup>59</sup>

საქართველოს მთავრობამ დააფინანსა სესხების ლარიზაციის ხარჯები შეღავათიანი კურსით. კერძოდ, მომხმარებლებს 40 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში სესხის „გალარება“ შეღავათიანი კურსით შეეძლოთ. ე.ი თუ კი მომხმარებელი მოისურვებდა უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის გალარებას, იმ დღეს არსებულ გაცვლით კურსს ანუ მიმდინარე კურსს აკლდებოდა 20 თეთრი, რომელსაც სახელმწიფო საკუთარი სახსრებით ფარავდა. ამისთვის, გარკვეული თანხა გამოიყო ბიუჯეტიდან.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ყველა კომერციულმა ბანკმა გამოთქვა მზადყოფნა, ყველა იმ მომხმარებლისთვის, რომელთაც გალარების პროგრამა შეეხოთ, სათანადო მომსახურება გაეწიათ.

---

<sup>59</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი . [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

სესხების გაღარების გარდა ლარიზაციის პროგრამის ფარგლებში კიდევ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა:

- ❖ შეზღუდვები დაწესდა უცხოურ ვალუტაში სესხის აღებაზე; კერძოდ, 2017 წლის იანვარში აიკრძალა 100 000 ლარამდე სესხის აღება უცხოურ ვალუტაში, ხოლო 2019 წლის იანვრიდან ეს თანხა 200 000 ლარამდე გაიზარდა.
- ❖ გასაყიდ პროდუქციასა და სერვისებზე ფასები მხოლოდ ლარში გამოქვეყნდება. მართალია, მაღაზიებში, სავაჭრო ცენტრებსა და მსგავს ობიექტებში ანგარიშსწორების საშუალებად გამოიყენება ეროვნული ვალუტა, თუმცა ქონების ყიდვა-გაყიდვა ძირითადად ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, კერძოდ დოლარში. ამ რეგულაციით კი აიკრძალა ქონების რეკლამირების, შეთავაზებისა და რეალიზაციის ფასის უცხოურ ვალუტაში გამოსახვა.
- ❖ მოხდა იპოთეკური სესხების სუფსიდირება;
- ❖ სასესხო ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს სესხის ძირითად თანხის ორმაგ ოდენობას.
- ❖ გარდა ამისა, ონლაინ-სესხის საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზედა ზღვარი 100 %-ს არ უნდა აღემატებოდეს;<sup>60</sup>

ლარიზაციის პროგრამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე მიიჩნევს, რომ ლარისადმი ნდობა არც გაუარესებულა და არც გაუმჯობესებულა. მისი თქმით, მთავრობის მიერ ინვესტირებული 16 მილიონი ლარის მიუხედავად, მოსახლეობა ლარს მაინც არ ენდობა. პროგრამის მიზანი კი დოლარიზაციის შემცირება იყო. თუმცა აღნიშნავს, რომ ლარიზაციის პროგრამა მყისიერ შედეგს ვერ გამოიღებდა და ამ პროცესს 6-7 წელი დასჭირდება. მისი აზრით, დროა საჭირო, რომ ქვეყანაში დოლარიზაციის დონე შემცირდეს და 30%-ზე მეტი არ იყოს. დღესდღეობით, კი ლარიზაციის შედეგი ასეთია, მოსახლეობის უფრო მცირე ნაწილს აქვს საბანკო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში, რაც კარგია როგორც მოსახლეობისათვის, ასევე ქვეყნისთვისაც.<sup>61</sup>

<sup>60</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი . [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

<sup>61</sup> [www.1tv.ge](http://www.1tv.ge).

ამის საპასუხოდ, ფინანსისტებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ლარიზაციის გეგმა ეროვნული ვალუტის გამყარებას მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში გამოიწვევს. მათი აზრით, დოლარიზაციის შესამცირებლად მთავრობის მხრიდან ხელოვნური ჩარევა შედეგს ვერ მოიტანს, ვინაიდან ნებისმიერი ასეთი ღონისძიება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად იმოქმედებს.

**ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს წინაშე დგას ისეთი პრობლემები, როგორებიცაა:**

1. მაღალი საგარეო ვალი;
2. სუსტი ექსპორტი და მძლავრი იმპორტი;
3. ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა.

ეროვნული ბანკის 2018 წლის ანგარიშში წერია,<sup>62</sup> რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტს ლარიზაციის ზრდა წარმოადგენს, ვინაიდან ლარიზაცია ქვეყანაში მაკროფინანსური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობაა. ლარიზაცია საქართველოს ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკის ნაწილია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება. ამ კუთხით, 2018 წელს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, 2018 წლის ივნისში ლარით სახსრების მოზიდვის დამატებითი წახალისების მიზნით, ლარით მოზიდულ სახსრებზე მინიმალური სარეზერვო ნორმა 7-დან 5 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2018 წლის 25 ივლისის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო მოთხოვნის 25 პროცენტამდე გაზრდის შესახებ, ნაცვლად მანამდე მოქმედი 20 პროცენტისა. აღსანიშნავია, რომ ერთიდან ორ წლამდე ვადიანობის მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა 10 პროცენტია, ხოლო 2 წელზე მეტი ნარჩენი ვადიანობის უცხოური ვალუტით ნასესხები სახსრები აღნიშნული მოთხოვნისგან გათავისუფლებულია.

---


<sup>62</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>.



მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ასევე მიიღო გადაწყვეტილება უცხოური ვალუტით სარეზერვო მოთხოვნებზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის შემცირების შესახებ, რაც, თავის მხრივ, ლარით დეპოზიტების მოზიდვის უპირატესობას ზრდის.

2018 წლის განმავლობაში სესხების დოლარიზაცია, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 0.8 %-ით შემცირდა და დეკემბერში 56.8% შეადგინა, ხოლო დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი წლის განმავლობაში 3.2%-ით შემცირდა და 63.1 პროცენტი იყო. რაც შეეხება ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელს, ის 2017 წლის ბოლოს არსებული 46.3 პროცენტიდან 2018 წლის ბოლოსთვის 47.7 პროცენტამდე გაიზარდა. აღნიშნული უკავშირდებოდა საბანკო სექტორში არსებულ უცხოური ვალუტის ჭარბ რესურსებს, რაც ბანკებს საშუალებას აძლევდა ბაზრისთვის უცხოური ვალუტით შედარებით დაბალპროცენტაანი სესხები შეეთავაზებინა.<sup>63</sup>

**დიაგრამა 12. საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით (2005-2018წწ).<sup>64</sup>**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაღარების პროგრამა საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის ერთობლივი პროექტია. ის მიზნად ისახავს, რომ მომხმარებელს შეუმსუბუქდეს სესხის ტვირთი, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებამ განაპირობა.

<sup>63</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

<sup>64</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.


ლარიზაციის პროგრამის საშუალებით მცირდება უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი მთლიან სესხებში, შესაბამისად მცირდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რაც საბოლოოდ განაპირობებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

## თავი III. საბანკო რეგულაციების შედეგები და განვითარების პერსპექტივები

### 3.1. რეგულაციების შედეგები დინამიკაში

როგორც უკვე აღინიშნა, 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისთვის დააწესა პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მოთხოვნები. აღნიშნული რეგულაციის უმთავრესი მიზანი არის საქართველოში ჭარბვალთანობის შემცირება.

**დიაგრამა 13. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა (2019წ).<sup>65</sup>**



სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა 26,800,469 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც 11,530,935 ათასი ლარი ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, ხოლო 15,269,534 ათასი ლარი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. 2019 წლის 1 თებერვალს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა შეადგენდა 26,619,821 ათას ლარს, საიდანაც 11,419,292 ათასი ლარი ეროვნულ

<sup>65</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.


ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, ხოლო 15,200,529 ათასი ლარი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. 2019 წლის 1 მარტს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა შეადგენდა 26,660,476 ათას ლარს, საიდანაც 11,480,774 ათასი ლარი ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, ხოლო 15,179,702 ათასი ლარი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. 2019 წლის 1 აპრილს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა შეადგენდა 27,000,886 ათას ლარს, საიდანაც 11,721,828 ათასი ლარი ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, ხოლო 15,279,058 ათასი ლარი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. 2019 წლის 1 მაისს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა შეადგენდა 26,902,394 ათას ლარს, საიდანაც 11,847,075 ათასი ლარი ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, ხოლო 15,055,318 ათასი ლარი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე. 2019 წლის 1 ივნისს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა შეადგენდა 27,868,883 ათას ლარს, საიდანაც 12,109,276 ათასი ლარი ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის, ხოლო 15,759,606 ათასი ლარი უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საერთო მოცულობა 2019 წლის თებერვალში იანვართან შედარებით შემცირდა, მარტში, აპრილში და მაისში გაიზარდა, ხოლო 1 ივნისის მდგომარეობით შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

2019 წლის 20 თებერვალს გაიმართა საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომა. ამ კომიტეტის საშუალებით ეროვნული ბანკი ახორციელებს საკრედიტო ზრდით გამოწვეული სისტემური რისკების შესწავლასა და მონიტორინგს. სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან გრძელვადიან ტრენდს კვლავ აჭარბებს, რაც მნიშვნელოვანწილად შინამეურნეობებზე გაცემული სესხებით არის განპირობებული. კომიტეტის შეფასებით, წლის დასაწყისიდან მომსახურებისა და უზრუნველყოფის კოეფიციენტების ლიმიტების ამოქმედება და 200 000 ლარამდე უცხოური ვალუტით სესხის აღების შეზღუდვა საკრედიტო ზრდას საშუალოვადიან პერიოდში მდგრად დონემდე დაიყვანს.<sup>66</sup>

<sup>66</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

დიაგრამა 14. სესხების და მშპ-ს ურთიერთდამოკიდებულება (2011-2018წწ).<sup>67</sup>



**წყარო: სებ; საქსტატი**  
 \*სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.  
 \*\* სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.

კომიტეტი მიიჩნევს, რომ ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო, რომელიც 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირებას და მას დადებითი გავლენა ექნება ეკონომიკაზე. კომიტეტის შეფასებით, საქართველოს ფინანსური სისტემა პოტენციური შოკების მიმართ მდგრადობას ინარჩუნებს.


ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ბოლო სხდომა 2019 წლის 29 მაისს გაიმართა, სადაც ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა შეფასდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა კონტრციკლური ბუფერი უცვლელად, 0%-ზე, დატოვა. კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი დანერგილია ბაზელ III-ის ჩარჩოს ფარგლებში და წარმოადგენს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. უარყოფითი შოკების დროს კონტრციკლური ბუფერი უნდა დაეხმაროს ფინანსურ სისტემას, რომ მკვეთრად არ შეიზღუდოს ეკონომიკის დაკრედიტება და

<sup>67</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>.

ამით დამატებით არ გაუარესდეს როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა. აღნიშნულ სხდომასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ. სხდომაზე დადგინდა, რომ საკრედიტო პორტფელის ზრდა შენელებულია და 2019 წლის აპრილში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, წლიურად 13.1% შეადგინა.<sup>68</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სესხების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან გრძელვადიან ტრენდს კვლავ აჭარბებს, რაც გამოწვეულია გასულ პერიოდში ჭარბი საკრედიტო ზრდითა და გაცვლითი კურსის ეფექტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სესხებისა და მშპ-ს ურთიერთდამოკიდებულება 2011-2018 წლების პირველი და მესამე კვარტლებისა და 2019 წლის პირველი კვარტლის მიხედვით.

**დიაგრამა 15. სესხებისა და მშპ-ს ურთიერთდამოკიდებულება (2011-2019წწ).<sup>69</sup>**



წყარო: სებ; საქსტატი

\*სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.

\*\* სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.


ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი მიიჩნევს, რომ ეს შედეგი მოსალოდნელი იყო. იგი განაგრძობს რეგულაციის შედეგებზე დაკვირვებას და აკეთებს პროგნოზს,

<sup>68</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

<sup>69</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

რომ საკრედიტო ზრდა საშუალოვადიან პერიოდში მდგრად დონეს დაუახლოვდება. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის მომდევნო სხდომა 2019 წლის 18 სექტემბერს გაიმართება.

დიაგრამა 16. მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით (2010-2018წწ).<sup>70</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 17. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2017 წლის ბოლოს არსებული კურსით).<sup>71</sup>


	დკ-17		დკ-18		ცვლილება %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %	
კორპორატიული სესხები	6,824	31%	7,927	30%	16.2%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	5,176	23%	6,525	25%	26.1%
საცალო სესხები	10,282	46%	11,793	45%	14.7%
სულ:	22,282	100%	26,245	100%	17.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>70</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.


<sup>71</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

დიაგრამა 18. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით (2012-2018წწ).<sup>72</sup>




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 19. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში (2012-2018წწ).<sup>73</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 20. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში (2012-2018წწ).<sup>74</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


<sup>72</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

<sup>73</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.

<sup>74</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.



დიაგრამა 21. სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში (2012-2018წწ).<sup>75</sup>




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის 17 იანვრიდან სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის მიერ ერთობლივად განხორციელდა ლარიზაციის პროგრამა, რომლის მიზანიც იყო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ საკანონმდებლო პაკეტის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ლარის კურსის გაუფასურება გახდა, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, ეროვნული ბანკის მონაცემებით 1\$- 2.7 ლარი ღირდა.

ლარიზაციის პროგრამის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დოლარიზაცია 65%-დან 57%-მდე შემცირდა. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სესხების დოლარიზაცია შეადგენდა 65%-ს, ხოლო 2018 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით იგი შემცირდა 57%-მდე. 2019 წლის ოთხი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) მონაცემების მიხედვით სესხების დოლარიზაციამ 57% შეადგინა, 2019 წლის 1 მაისის მონაცემებით 55.9%, ხოლო 2019 წლის 1 ივნისის მდგომარეობით 56.5% შეადგინა.

<sup>75</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2018წ.


დიაგრამა 22. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების დოლარიზაცია (2017-2019წწ).<sup>76</sup>




რაც შეეხება კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ლარიზაციას, ეს მაჩვენებელი 2017 წელთან შედარებით, 2018 და 2019 წლებში გაიზარდა, კერძოდ, 2017 წლის 1 იანვარს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ლარიზაციის მაჩვენებელი შეადგენდა 34.6%-ს, ხოლო 2018 და 2019 წლების 1 იანვარს 43%-ს. ამის შემდგომ იგი საგრძნობლად არ შეცვლილა და ხასიათდებოდა შემდეგი დინამიკით: 2019 წლის 1 თებერვალი- 42.9%, 2019 წლის 1 მარტი- 43%, 2019 წლის 1 აპრილი- 43.4%, 2019 წლის 1 მაისი- 44% და 2019 წლის 1 ივნისი- 43.5%.

<sup>76</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 23. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ლარიზაცია (2017-2019წწ).<sup>77</sup>



დიაგრამა 24. სესხები ეროვნული და უცხოური ვალუტების მიხედვით (2015-2018წწ).<sup>78</sup>




ლარიზაციის პოლიტიკის დაწყების დროს ანუ 2017 წლის პირველ კვარტლის ბოლოს საპროცენტო განაკვეთი ლარით გაცემულ სესხებზე შეადგენდა 17.2 %-ს, 2018 წლის დასაწყისში აღნიშნულმა მაჩვენებელმა მიაღწია 17.8 %-ს, თუმცა, 2018

<sup>77</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

<sup>78</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>.

წლის ბოლოს ლარში სესხის ადგება 16.8%-ად ანუ ერთი პროცენტით უფრო იაფად იყო შესაძლებელი. ე.ი მიუხედავად იმისა, რომ ლარიზაციის პოლიტიკის დაწყებიდან ერთ წელში ლარში გაცემულ სესხებზე იზრდებოდა საპროცენტო განაკვეთები, 2018 წლის დასაწყისიდან შეინიშნება შემცირება. ასევე, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და 16.5%-ს შეადგენს.


**დიაგრამა 25. საპროცენტო განაკვეთები ლარით გაცემულ სესხებზე (2017-2019წწ).<sup>79</sup>**




რაც შეეხება, უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთს, ეს მაჩვენებელი 2017 წლის პირველი კვარტლის ბოლოს შეადგენდა 9.1%-ს, ხოლო 2018 წლის დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 8.5%-მდე. 2018 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე კვლავ შემცირდა და შეადგინა 8.3% და 8.1%. ასევე, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და 7.9%-ს შეადგენს.

<sup>79</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 26. საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე (2017-2019წწ).<sup>80</sup>



დიაგრამა 27. საპროცენტო განაკვეთები სესხებზე ვალუტების მიხედვით (2015-2018 წწ).<sup>81</sup>




რაც შეეხება დეპოზიტებს - უნდა ითქვას, რომ ლარიზაციის პროექტის დაწყებიდან დაახლოებით 2 წელში დეპოზიტების ლარიზაცია დაახლოებით 8%-ით არის გაზრდილი. კერძოდ, 2017 წლის 1 იანვარს აღნიშნული მაჩვენებელი

<sup>80</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

<sup>81</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>.

27.5%-ს შეადგენდა, ხოლო 2018 წლის დეკემბერში კი- 35.2%-ს. რაც შეეხება 2019 წელს, ოთხი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი და აპრილი) მიხედვით შეინიშნება დეპოზიტების ლარიზაციის ზრდა, შემდეგი მაჩვენებლებით: 2019 წლის 1 იანვარი- 36.1%, 2019 წლის 1 თებერვალი- 36.8%, 2019 წლის 1 მარტი- 37.1% და 2019 წლის 1 აპრილი- 37.3%.

**დიაგრამა 28. დეპოზიტები ვალუტების მიხედვით (2015-2018 წწ).<sup>82</sup>**




როგორც უკვე აღინიშნა, 2018 წლის იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ეს ნიშნავს, რომ ყველა პირს, რომელსაც თანხა ქართულ კომერციულ ბანკში აქვს განთავსებული, სპეციალური სახელმწიფო ფონდი აზღვევს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ზარალს 5,000 ლარამდე თანხით აანაზღაურებს.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მთავარი დადებითი მხარე არის ის, რომ უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდება ფულის ბანკში შენახვის ანუ ანაზღაურების გახსნის სურვილი, რის შედეგადაც გაიზრდება ბანკების ფინანსური რესურსი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ეკონომიკის დაკრედიტების ზრდას.

<sup>82</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2>.

**დიაგრამა 29. კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები (2018-2019წწ).<sup>83</sup>**




სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ვალუტით მოზიდული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტებში შეინიშნება შემდეგი დინამიკა: 2018 წლის 1 იანვარს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,088,231 ათასი ლარი. 2018 წლის 1 თებერვალს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,234,711 ათასი ლარი. 2018 წლის 1 მარტს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,387,996 ათასი ლარი. 2018 წლის 1 აპრილს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,650,902 ათასი ლარი. 2018 წლის 1 მაისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,808,692 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ივნისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 7,878,685 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ივლისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,365,468 ათასი ლარი. 2018 წლის 1 აგვისტოს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,563,097 ათასი ლარი. 2018 წლის 1 სექტემბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,439,205 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ოქტომბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,422,227 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ნოემბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,267,403 ათასი ლარი. 2018 წლის 1 დეკემბერს

<sup>83</sup> ანალიზი გაკეთებულია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,014,434 ათასი ლარი. 2019 წლის 1 იანვარს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,639,037 ათასი ლარი. 2019 წლის 1 თებერვალს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,678,996 ათასი ლარი. 2019 წლის 1 მარტს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,814,707 ათასი ლარი. 2019 წლის 1 აპრილს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,933,570 ათასი ლარი. 2019 წლის 1 მაისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 8,969,215 ათასი ლარი. 2019 წლის 1 ივნისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 9,371,412 ათასი ლარი.

აღნიშნული სტატისტიკიდან ჩანს, რომ 2018 წლის იანვრიდან შეინიშნება დეპოზიტების ზრდის ტენდენცია. 2018 წლის სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში დეპოზიტების საერთო მოცულობა შემცირდა, თუმცა 2019 წლის იანვრიდან კვლავ დაიწყო ზრდა და დღემდე ასე გრძელდება.

**დიაგრამა 30. კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით მოზიდული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტები (2018-2019წწ).<sup>84</sup>**



<sup>84</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.



კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით მოზიდული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტებში შეინიშნება შემდეგი დინამიკა: 2018 წლის 1 იანვარს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,787,578 ათასი ლარი. 2018 წლის 1 თებერვალს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,183,610 ათასი ლარი. 2018 წლის 1 მარტს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,012,022 ათასი ლარი. 2018 წლის 1 აპრილს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,021,080 ათასი ლარი. 2018 წლის 1 მაისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,215,667 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ივნისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,232,691 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ივლისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,300,082 ათასი ლარი. 2018 წლის 1 აგვისტოს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 13,297,333 ათასი ლარი. 2018 წლის 1 სექტემბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 14,279,778 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ოქტომბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 14,446,529 ათასი ლარი. 2018 წლის 1 ნოემბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 14,800,671 ათასი ლარი. 2018 წლის 1 დეკემბერს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 14,758,446 ათასი ლარი. 2019 წლის 1 იანვარს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 15,265,036 ათასი ლარი. 2019 წლის 1 თებერვალს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 14,917,458 ათასი ლარი. 2019 წლის 1 მარტს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 14,931,952 ათასი ლარი. 2019 წლის 1 აპრილს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 15,046,028 ათასი ლარი. 2019 წლის 1 მაისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 15,121,111 ათასი ლარი. 2019 წლის 1 ივნისს დეპოზიტების საერთო მოცულობამ შეადგინა 15,665,230 ათასი ლარი.

აღნიშნული სტატისტიკიდან ჩანს, რომ 2018 წლის იანვრიდან შეინიშნება უცხოური ვალუტით მოზიდული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების კლების ტენდენცია. 2018 წლის იანვარში, თებერვალში, მარტსა და აპრილში შემცირდა უცხოურ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტების რაოდენობა, მაისში, ივნისსა და ივლისში გაიზარდა, აგვისტოსა და სექტემბერში კვლავ შემცირდა, ოქტომბერსა და ნოემბერში გაიზარდა, დეკემბერში კი შემცირდა. 2019 წლის იანვარში უცხოური ვალუტით მოზიდული ფიზიკური და იურიდიული პირების დეპოზიტების


რაოდენობა გაიზარდა, თებერვალში შემცირდა, ხოლო მარტიდან დღემდე შეინიშნება ზრდის ტენდენცია.

ასევე, საინტერესოა დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის დინამიკა:

2017 წლის 1 იანვარს წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ლარის დეპოზიტებზე შეადგენდა 8.8%-ს, 2018 წლის 1 იანვარს- 8.2%-ს, 2019 წლის 1 იანვარს 7.7%-ს, 1 თებერვალსა 7.6%-ს, 1 მარტს 7.3%-ს, 1 აპრილს 7.3%-ს, ხოლო 1 მაისს 7.1%-ს.


უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 2017 წლის 1 იანვარს შეადგენდა 3.2%-ს, 2018 წლის 1 იანვარს 2.9%-ს, 2019 წლის 1 იანვარს 2.8%-ს, 1 თებერვალს 2.9%-ს, 1 მარტს 2.7%-ს, ხოლო 2019 წლის 1 აპრილისა და 1 მაისის მონაცემებით შეადგენდა 2.9%-ს.

**დიაგრამა 31. წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ლარის დეპოზიტებზე (2017-2019წწ).<sup>85</sup>**



<sup>85</sup>დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.


დიაგრამა 32. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები (2017-2019წწ).<sup>86</sup>




რაც შეეხება, კომერციული ბანკების დეპოზიტებზე საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთს 2018 წლის პირველ კვარტალში ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 7.1%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში- 2.5%-ს, მეორე კვარტალში ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 7.5%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში- 2.8%-ს, მესამე კვარტალში ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 7.5%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში- 2.8%-ს, მეოთხე კვარტალში ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 7.1%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში- 2.8%-ს. 2019 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში შეადგენდა 8.0%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში 3.0%-ს, რაც წინა თვეებთან შედარებით ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

<sup>86</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 33. ეროვნულ ვალუტაში კომერციული ბანკების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები (2018-2019წწ).<sup>87</sup>



დიაგრამა 34. უცხოურ ვალუტაში კომერციული ბანკების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები (2018-2019წწ).<sup>88</sup>



<sup>87</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

<sup>88</sup> დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების საფუძველზე.

### 3.2. სს „თიბისი ბანკი“: მართვის თავისებურებანი და განვითარების პერსპექტივები

დღესდღეობით, სს „თიბისი ბანკი“ ერთ-ერთი წამყვანი, უნივერსალური და წარმატებული ბანკია საქართველოში.

სს „თიბისი ბანკი“ მოღვაწეობს საბანკო სფეროში და ემსახურება სხვადასხვა სეგმენტის მომხმარებელს და სთავაზობს მათ სხვადასხვა სახის პროდუქტსა და მომსახურებას. იგი დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს. თავდაპირველად, მისი კაპიტალი (საწყისი კაპიტალი) 500 აშშ დოლარს შეადგენდა. დღესდღეობით, მისი კაპიტალის ოდენობა შეადგენს 370 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო აქტივების ოდენობა შეადგენს 2.5 მილიარდ აშშ დოლარს. თიბისი ბანკი ემსახურება 1,000,000-მდე მომხმარებელს შემდეგ ოთხ ბიზნეს-სეგმენტში:

- ❖ საცალო;
- ❖ კორპორატიული;
- ❖ მცირე და საშუალო ბიზნესი;
- ❖ მიკრო-საფინანსო საბანკო მომსახურება.

თიბისი ბანკს წამყვანი პოზიცია უჭირავს საცალო დეპოზიტების ბაზარზე და მისი წილი ამ სეგმენტში 36%-ს შეადგენს.<sup>89</sup>

თიბისი ბანკი, ისევე როგორც საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი, ფუნქციონირებს სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით. კომერციული ბანკების საქმიანობა რეგლამენტირდება საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

თიბისი ბანკის მმართველი ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი. ასევე, შესაბამისი კომიტეტები არის შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის დონეზე.

---

<sup>89</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

აქციონერთა საერთო კრება არის ბანკის უმაღლესი მმართველი ორგანო, რომელიც იღებს ყველა საკვანძო გადაწყვეტილებას. ის ირჩევს ბანკის სამეთაულყოფიერ საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია დირექტორთა დანიშვნასა და ზედამხედველობაზე.

თიბისი ბანკს განვითარების დიდი ისტორია გააჩნია. დაარსებიდან მეორე წელს, კერძოდ, 1993 წლის მაისში თიბისი ბანკს მიენიჭა საერთაშორისო ოპერაციების წარმოების ლიცენზია.

1996 წლის დეკემბერში თიბისი ბანკმა დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება.

1997 წელს თიბისი ბანკმა პირველი სადებეტო ბარათი გამოუშვა.

1999 წლის მაისში თიბისი ბანკმა მონაწილეობა მიიღო "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის" (დღევანდელი "პროკრედიტ ბანკი") დაფუძნებაში და გადავიდა საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებზე.

2000 წლის 26 მაისს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG) თიბისი ბანკის აქციების 10-10 პროცენტის მფლობელნი გახდნენ.

2001 წლის 8 მაისს თიბისი ბანკმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპენსიო სადაზღვევო ჰოლდინგის (GPI ჰოლდინგი) დაფუძნებაში.

2002 წელს თიბისი ბანკმა განაახლა კორპორატიული ვებ-გვერდი. ამავე წლის 14 მარტს გაიხსნა თიბისი ბანკის ფილიალი თელავში. სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, ქუთაისისა და ფოთის შემდეგ ეს თიბისი ბანკის მე-5 ფილიალი იყო რეგიონებში.

2003 წლის 23 მაისს კომპანია "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის განვითარების ფონდი" თიბისი ბანკის აქციათა 25%-ის მფლობელი გახდა. ამავე წელს, თიბისი ბანკმა დააარსა ლიტერატურული პრემია "საბა".

2004 წლის იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო კომპანია "თიბისი ლიზინგმა", რომელიც თიბისი ბანკმა დააფუძნა. 2004 წლის 9 ივლისს აჭარაში, ქ. ბათუმში თიბისი ბანკის ფილიალი გაიხსნა, რომელიც ბანკისთვის რიგით მე-6 რეგიონული ფილიალი იყო.

---

<sup>90</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

2005 წლის 26 თებერვალს გაიხსნა თიბისი ბანკის ახალი სათავო ოფისი. 1 მაისიდან თიბისი ბანკმა იპოთეკური სესხის მაქსიმალური ვადა 20 წლამდე გაზარდა, მანამდე საქართველოში სესხების მაქსიმალური ვადიანობა 10 წელი იყო.

2006 წლის 1 მაისს თიბისი ბანკმა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) გააფორმეს ხელშეკრულება ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელების შესახებ.

2007 წლის თებერვალში თიბისი ბანკმა საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის, ESM-თბილისის აქციათა 20% შეიძინა. ასევე, თიბისი ბანკმა აზერბაიჯანში ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტის, "სოა კრედიტის" აქციათა 75% შეიძინა.

2008 წელს თიბისი ბანკმა მთელი საქართველოს მასშტაბით გახსნა 23 ახალი ფილიალი, 3 ახალი სერვის-ცენტრი და დადგა 80 ახალი ბანკომატი.

2009 წელს EBRD, FMO, JP Morgan და Ashmore თიბისი ბანკის აქციონერთა რიგებს შეემატნენ. ამავე წელს, თიბისი ბანკს მეორეჯერ გადაეცა ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001:2008, ხოლო პირველად გადაეცა 2007 წელს.

2011 წელს თიბისი ბანკი გახდა ბანკი კონსტანტას აქციების 80%-ის მფლობელი. თიბისი ბანკმა ბანკი კონსტანტას აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა.

2012 წელს, პირველად საქართველოში, თიბისი ბანკმა მომხმარებელს შესთავაზა ინტერნეტ-ბანკის აპლიკაციები iPhone-ების, Android-ებისა და სხვა Smartphone-ებისათვის.

2013 წელს თიბისი ბანკი ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას იწყებს. თიბისი ბანკი პირველი ქართული ბანკია, რომელმაც ბაზელ 3-ის მოთხოვნების მიხედვით საქართველოს ეროვნულ ბანკში წარადგინა ICAAP (კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის) ანგარიში. 2013 წელს სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე შეიქმნა შემდეგი სამი დამატებითი კომიტეტი:

- ❖ რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტი;
- ❖ ანაზღაურების კომიტეტი;
- ❖ კორპორატიული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი.

---

<sup>91</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

2013 წელს, პირველმა შესთავაზა ქართველ მომხმარებელს მობაილბანკის აპლიკაცია BlackBerry-სთვის და ინტერნეტბანკის iPad-ისთვის.

2014 წელს თიბისი ბანკმა ლონდონის საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დაიწყო. ასევე, ამავე წელს, თიბისი ბანკმა ბანკი კონსტანტას აქციათა 100% შეიძინა. 2015 წელს დასრულდა ბანკი კონსტანტასთან შერწყმის პროცესი.

2016 წელს თიბისი ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში გადავიდა. თიბისი ბანკმა სადაზღვევო კომპანიის კოპენბურის აქციათა 100% შეიძინა.

2017 წელს თიბისი ბანკი ლონდონის საფონდო ბირჟის FTSE 250-ინდექსში შევიდა წარმატებით დასრულდა თიბისი ბანკის ბანკ რესპუბლიკასთან შერწყმის პროცესი.

2018 წელს თიბისიმ პირველი სრულიად ციფრული ბანკი, Space, გაუშვა საქართველოში, ასევე, აზერბაიჯანულ ბანკთან „ნიკოილი“ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ თიბისი ბანკი არაერთხელ დასახელდა „წლის საუკეთესო ბანკად“ საქართველოში, Financial Times Group-ის მიერ. გარდა ამისა, თიბისი ბანკი დასახელდა სავალუტო ოპერაციების ბაზარზე მოქმედ მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორის ამერიკული ჟურნალის "Global Finance"-ის მიერ. ასევე, თიბისი ბანკმა მოიპოვა საქართველოში საუკეთესო ბანკის სტატუსი უმსხვილესი ევროპული ფინანსური ჟურნალის Euromoney-სგან. იგი არაერთხელ დასახელდა საუკეთესო ბანკად კიდევ ბევრი სხვა გავლენიანი ჟურნალებისა და გამოცემების მიერ.

თიბისი ბანკის მთავარი მისია არის შეუქმნას ადამიანებს შესაძლებლობები მათი იდეების რეალიზაციისა და ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისათვის, ხოლო ბანკის ხედვას წარმოადგენს ის, რომ იყოს ფინანსური სერვისების საუკეთესო მიმწოდებელი რეგიონში.

თიბისი ბანკს ჰყავს შემდეგი შვილობილი კომპანიები: თიბისი ლიზინგი; თიბისი ფეი; თიბისი არტ-გალერეა; თიბისი კაპიტალი და UFC.

თიბისი ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რისკების მართვას, აგრეთვე აქტიურად ატარებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკას და საექვო ტრანზაქციებისა და ქცევის მონიტორინგს. მას გააჩნია ჩანაწერების და დოკუმენტების შენახვის საკუთარი სტილი და მეთოდები. იგი საკუთარ საქმიანობას უქვემდებარებს

<sup>92</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).



საბანკო საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებს. თიბისი ბანკი აქტიურად ატარებს გარემოსა და სოციალური რისკების მენეჯმენტის სისტემის პოლიტიკას. გარდა ამისა, მას ჰყავს პარტნიორი ბანკები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. დაწვრილებით განვიხილოთ თიბისი ბანკის მართვის თავისებურებანი:

### რისკების მართვა<sup>93</sup>

თიბისი ბანკში დანერგილია ძლიერი, დამოუკიდებელი და ბიზნესზე ორიენტირებული რისკების მართვის სისტემა. მისი მთავარი მიზანია, რისკების ეფექტური მართვის მეშვეობით ხელი შეუწყოს ბანკის წარმატებულ ფუნქციონირებას. რისკების მართვა ემყარება შემდეგ ოთხ ძირითად პრინციპს:

- ❖ რისკების გამჭვირვალედ მართვა სანდოობის მოსაპოვებლად;
- ❖ რისკების გონივრულად მართვის მეშვეობით თიბისი ბანკის სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- ❖ რისკების მართვა თიბისი ბანკის სტრატეგიის განხორციელების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორია;
- ❖ რისკების მართვა თიბისი ბანკის კონკურენტული უპირატესობაა.

### რისკების მართვის სტრუქტურა<sup>94</sup>


თიბისი ბანკს გააჩნია რისკების მართვის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც იგი მართავს მის წინაშე არსებულ რისკებს.

---

<sup>93</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

<sup>94</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

**ცხრილი 2. სს „თიბისი ბანკის“ რისკის მართვის სტრუქტურა.<sup>95</sup>**



ზემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სს „თიბისი ბანკის“ რისკის მართვის სტრუქტურას, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

- ❖ **სამეთვალყურეო საბჭო:** სამეთვალყურეო საბჭო, რისკების, ეთიკისა და შესაბამისობის კომიტეტი და აუდიტის კომიტეტი;
- ❖ **დირექტორთა საბჭო:** რისკების კომიტეტი, საოპერაციო რისკების კომიტეტი, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი.
- ❖ **რისკების მართვის სტრუქტურა: ფუნქციები:** ორგანიზაციის რისკების მართვა, საკრედიტო რისკები, რესტრუქტურის რისკები და პრობლემური აქტივების მართვა, ფინანსური რისკები და არაფინანსური რისკები; **კომიტეტები:** სესხის დამტკიცების კომიტეტი, რესტრუქტურის რისკების და ამოღების კომიტეტი.

**ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკა<sup>96</sup>**

თიბისი ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკას. იგი იცავს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესაბამის სტანდარტებს და თიბისი ჯგუფში შემავალი ყველა კომპანიისგან ამ სტანდარტების დაცვას მოითხოვს,

<sup>95</sup> თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

<sup>96</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

რათა თიბისი ბანკის საქმიანობა არ იქნას გამოყენებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის. თიბისი ბანკში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენებენ შემდეგ საშუალებებს:

- ✓ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პოტენციური რისკების იდენტიფიკაციას;
- ✓ კლიენტებისა და მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია და ვინაობის გადამოწმება;
- ✓ წესები პოლიტიკურად აქტიური პირების მომსახურების შესახებ;
- ✓ კლიენტების გადამოწმება ტერორისტთა და/ან ტერორიზმის ხელშემწყობთა საერთაშორისო სიებში, ასევე, შესაბამის ფინანსურ და სხვა ტიპის სანქცირებულ პირთა სიებში;
- ✓ შესაბამისი ჩანაწერების წარმოება;
- ✓ პერსონალის რეგულარული ტრენინგები და საკითხის მიმართ ცოდნის ამაღლება;
- ✓ და სხვა.

ეს მიდგომები ემყარება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელ ნორმებს და ასევე, საუკეთესო პრაქტიკას.

### **საექვო ტრანზაქციებისა და ქცევის მონიტორინგი და ანგარიშგება**

თიბისი ბანკი ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საექვო ტრანზაქციებისა და ქცევის მონიტორინგს. თიბისი ბანკის თანამშრომლები გადიან შესაბამის ტრენინგებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ საექვო სიტუაციებში. თიბისი ბანკი კონკრეტულ ზომებს მიმართავს საექვო ტრანზაქციების გამოსავლენად. ბანკი

---

<sup>97</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

ითვალისწინებს და აკვირდება ყველა საექვო ნიშანს და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს საჭირო ინფორმაციას შესაბამის ორგანოებს.

საექვო ტრანზაქციების ან საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისთვის მოითხოვება საქართველოს კანონით „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებითა და რეგულაციებით.

### **ჩანაწერები და დოკუმენტების შენახვა**

თიბისი ბანკს გააჩნია ჩანაწერებისა და დოკუმენტების შენახვის საკუთარი სტილი და მეთოდი. ძირითადად, ყველა საბანკო ოპერაციის შემდგომ იბეჭდება საბუთი, რომელსაც ხელს აწერს ერთის მხრივ, ბანკის თანამშრომელი და მეორეს მხრივ, კლიენტი. ეს საბუთი, საჭიროების შემთხვევაში, იგზავნება ცენტრალიზებულ ოფისში კლიენტის მონაცემების სრულყოფისა და ავტორიზაციის მიზნით. ეს დოკუმენტები ელექტრონულად ინახება სულ მცირე 15 წელი.

### **უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტი (FATCA)**

თიბისი ბანკი საკუთარ საქმიანობას უქვემდებარებს საბანკო საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებს.

ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ FATCA მოთხოვნების თანახმად, 2014 წლის 2 მაისს სს „თიბისი ბანკი“ და მისი შვილობილი საფინანსო ინსტიტუტები დარეგისტრირდნენ აშშ-ს შემოსავლების სამსახურში, როგორც FATCA-ს შესაბამისი კომპანიები. FATCA-ს რეგულაციებით, თიბისი ბანკს მოეთხოვება გადახედოს და მოიყვანოს რეგულაციასთან შესაბამისობაში კლიენტებისათვის ანგარიშების გახსნის პროცედურები. სს „თიბისი ბანკი“ ვალდებულია შეაგროვოს და შეამოწმოს კლიენტების აშშ-ში საგადასახადო სტატუსის შესახებ ინფორმაცია და თუ მომხმარებელი არის აშშ-ში გადასახადის გადამხდელი უნდა წარმოადგინოს სათანადოდ შევსებული შესაბამისი დოკუმენტაცია.

გარდა ამისა, სს „თიბისი ბანკი“ ამ მიმართულებით ბევრს მუშაობს და ახორციელებს ცვლილებებს, რათა საკუთარი საქმიანობა მაქსიმალურად შეუსაბამოს FATCA-ს რეგულაციებს.

### გარემოს და სოციალური რისკების მენეჯმენტის სისტემის პოლიტიკა

თიბისი ბანკი აქტიურად ატარებს გარემოსა და სოციალური რისკების მენეჯმენტის სისტემის პოლიტიკას.

თიბისი ბანკი ერთ-ერთი პირველი ბანკი იყო ქვეყანაში, რომელმაც შეიმუშავა გარემოს და სოციალური რისკების მენეჯმენტის სისტემა, რომელიც სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

გარემოს და სოციალური რისკების მენეჯმენტის სისტემის პოლიტიკის ძირითადი მიზანია:

- ❖ თანამშრომლების შრომითი უფლებების დაცვა;
- ❖ თიბისი ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემო და სოციალური რისკების მართვა.

თიბისი ბანკს გარემოს და სოციალური რისკების მართვისათვის გააჩნია სპეციალური დოკუმენტი, რომელშიც პერიოდულად შეაქვს ცვლილებები.

### კორესპონდენტ ბანკებთან ურთიერთობა<sup>98</sup>

თიბისი ბანკს ჰყავს საკორესპონდენტო ბანკები, რომელთაც დიდი დაკვირვებითა და ყურადღებით არჩევს. ამ პროცესში ითვალისწინებს მათ ისტორიას, რეპუტაციას და სხვა მსგავს მაჩვენებლებს.

თიბისი ბანკს ჰყავს პარტნიორი ბანკები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

---

<sup>98</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

<sup>99</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

მას ჰყავს პარტნიორი ბანკები შემდეგ ქვეყნებში:

- ❖ აშშ;
- ❖ გერმანია;
- ❖ რუსეთი;
- ❖ დიდი ბრიტანეთი;
- ❖ საფრანგეთი;
- ❖ ბელგია;
- ❖ შვეიცარია;
- ❖ თურქეთი;
- ❖ აზერბაიჯანი.

საქართველოში მისი პარტნიორი ბანკებია:

- ❖ ბაზის ბანკი;
- ❖ ვითიბი ბანკი;
- ❖ ხალიკ ბანკი;
- ❖ კრედო ბანკი;
- ❖ ფინკა ბანკი;
- ❖ ზირაათ ბანკი.

თიბისი ბანკს გააჩნია მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და აქტიურად უჭერს მხარს ბიზნესის განვითარებას, საქართველოს მემკვიდრეობის შენარჩუნებას, კულტურულ აქტივობებს, სპორტს, ასევე, ახორციელებს ქველმოქმედებას.

თიბისი ბანკის ორგანიზებით ტარდება ბიზნეს დაჯილდოება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. ვლინდებიან გამარჯვებულები შემდეგ კატეგორიებში: წლის სტარტაპი, ბიზნესი დადებითი გავლენისთვის, წლის ქართული პროდუქტი, წლის ქალი მეწარმე, წლის ტურისტული ბიზნესი და წლის ბიზნესი.

პირველად დაჯილდოება ჩატარდა 2016 წელს. მასში მონაწილეობას იღებდა 523 ადამიანი. 3 წლის განმავლობაში მონაწილეების რაოდენობამ 1500 ადამიანს გადააჭარბა. ეს ბიზნეს სექტორის ყველაზე დიდი ღონისძიებაა საქართველოში.<sup>100</sup>

---

<sup>100</sup> სს "თიბისი ბანკის" ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

გარდა ამისა, თიბისი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, მასტერკლასებს და ფორუმებს.

თიბისი ბანკმა, 2017 წელს, წამოიწყო პროგრამა სტარტაპერი, რომელიც გამიზნულია ახალგაზრდა ინოვაციორებისათვის. 2017 წლის შემდეგ უამრავი ადამიანი ჩაერთო ამ პროგრამაში და ერთ აქტივობაზე დაახლოებით დარეგისტრირდა 24 000 სტარტაპერი.

101

თიბისი ბანკი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ამის დასტური არის პროექტი #წერექართულად, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ქართულენოვანი პლატფორმა kartulad.ge, რომლის მიზანია მაიკროსოფტის პროგრამებში ქართული ენის დანერგვა.

ასევე, 2018 წლის ოქტომბერში, თიბისი ბანკის მხარდაჭერით, საქართველოში დაბრუნდა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცა ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი ძმების - პეტრე, იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილების არქივი.

2018 წლის 28 დეკემბერს, შეიქმნა საქველმოქმედო ონლაინ პლატფორმა Statusdonates.ge, რომელიც ხელს უწყობს ახალი თაობის განვითარებასა და წარმატებას, თიბისი სტატუსისა და მისი მომხმარებლების საშუალებით.

2017 წლის ივნისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თიბისის შორის გაფორდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო თიბისი ბანკის პროექტში „ქართულად“.

თიბისი ბანკი აქტიურად უჭერს მხარს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას. 2003 წელს თიბისიმ დაარსა ლიტერატურული პრემია საბა. 2018 წელს იგი მეთექვსმეტედ გაიმართა. ამ პროექტის ფარგლებში გაიცა 151 ჯილდო და 722 400 ლარი. თიბისი ბანკი ბორჯომში, 2017 წელს, გაჩენილი ხანძრის შედეგად გადამწვარი ტყის აღდგენის ინიციატივით გამოვიდა. მისი ძალისხმევით აღდგა 10 ჰექტარი მიწის ფართობი.<sup>102</sup>

---

<sup>101</sup> სს "თიბისი ბანკის" ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

<sup>102</sup> სს "თიბისი ბანკის" ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

2018 წლის მონაცემებით თიბისი ბანკში დასაქმებულია 7300 თანამშრომელი. გუნდის საშუალო ასაკი არის 31 წელი. 10 წელზე მეტი ხნის არის 894 თანამშრომელი. თიბისიში დასაქმებულთა 67% ქალია, ხოლო 33% მამაკაცი.<sup>103</sup>

2019 წელს თიბისი ბანკმა თანამშრომლებს, რომლებმაც აქვთ 18 თვიანი უწყვეტი სამუშაო გამოცდილება შესთავაზა ახალი პროექტი „სტარტაპ დეკრეტი“, რომლის მიზანია ბანკის შიგნით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და „სტარტაპერების“ მხარდაჭერა. ამ პროექტის ფარგლებში, 6 თვიან დეკრეტულ შვებულებას თიბისი ბანკი სრულად აანაზღაურებს და დაეხმარება თანამშრომლებს ჩანაფიქრის ჯერ სტარტაპად, შემდეგ კი ბიზნესად გადაქცევაში. „სტარტაპ დეკრეტის“ მონაწილეები ავტომატურად გახდებიან პროგრამა „სტარტაპერის“ მონაწილეები და ისარგებლებენ დამატებითი შეღავათებით.

2015 წელს თიბისი ბანკი გახდა საქართველოს რაგბის კავშირის გენერალური სპონსორი. რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი 2019 წლის 20 სექტემბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება. თიბისი ბანკმა მომხმარებლებს შესთავაზა რაგბი ბარათი, რომლის ალების შემდეგაც მომხმარებელი ავტომატურად ერთვება აქციაში, რომელიც გაგრძელდება 28 მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით. თვის განმავლობაში ყოველ მე-20 და 50-ე გადახდაზე დაწესდა პრიზები: მაისური და რაგბის ბურთი. ერთადერთი შეზღუდვა არის ის, რომ ტრანზაქციის მინიმალური მოცულობა შეადგენს 20 ლარს. ბარათის შეკვეთა შესაძლებელია ონლაინ, ასევე ქოლ-ცენტრში დარეკვისა და ფილიალში ვიზიტის საშუალებით.

თიბისი ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქციასა და მომსახურებას. როგორებიცაა: ანაზრები, სესხები, განვადებები, ოვერდრაფტი, საკრედიტო და სადებეტო ბარათები, ანგარიშები, სადაზღვევო პროდუქტები, ფულადი გზავნილები, დისტანციური მომსახურება და სტატუს მომსახურება. აგრეთვე, სთავაზობს სატარიფო მომსახურებასა და სახელფასო პროექტს, რომლებშიც უკვე მრავალი ადამიანი არის ჩართული. თიბისი ბანკი, ასევე, ემსახურება სტატუს კლიენტებს, რომელთაც სთავაზობს უამრავ დამატებით მომსახურებას, მათ შორის პერსონალური ბანკირის მომსახურებას. ამისათვის სტატუს კლიენტები ყოველთვიურად იხდიან გარკვეულ საკომისიოს, კერძოდ 20 ლარს. გარდა ამისა,

<sup>103</sup> სს "თიბისი ბანკის" ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).



თიბისი ბანკმა, 2019 წელს, მომხმარებლებს შესთავაზა ახალი პროდუქტი, სტატუს დიჯიტალ ნაკრები, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ იგივე მომსახურება რასაც იღებენ სტატუსის ფარგლებში, გარდა პერსონალური ბანკირის მომსახურებისა და მისი ყოველთვიური საკომისიო შეადგენს 10 ლარს.

ამის გარდა, თიბისი ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა აქციასა და პროგრამას.

2008 წელს თიბისი ბანკმა დაიწყო ანაზრების მასშტაბური აქცია, რომლის ფარგლებშიც თიბისი ბანკის 9 მეანაზრემ ავტომობილი მოიგო, ხოლო 31 დეკემბერს გათამაშდა მთავარი პრიზი - 1 მილიონი ლარი.

2010 წელს შეიქმნა პროგრამა - Smart Club, რომლის ფარგლებშიც ბანკის აქტიური მომხმარებლები, ყოველ საბანკო ტრანზაქციაზე, ბანკისგან ბონუსად იღებდნენ SMART ქულებს, ხოლო შემდეგ მათ გადაცვლიდნენ საჩუქრებზე ათობით პარტნიორ ობიექტში.

2019 წელს თიბისი ბანკმა ბიზნეს კლიენტებისთვის შექმნა ახალი სივრცე- B COM, რომელიც ეხმარება ადამიანებს ბიზნესის წამოწყებასა და მის შემდგომ განვითარებაში.

B COM თავის წევრ იურიდიულ პირებს სთავაზობს ბიზნეს ტრენინგებს, სხვადასხვა ხელსაყრელ შეთავაზებას, ბიზნეს სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაციასა და სხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას. იგი არსებობს სამი ტიპის: FIX, ARGO და LIFE.

### **თიბისი ბანკი თავის საქმიანობას უქვემდებარებს გარკვეულ პრინციპებს, რომელთაგან აღსანიშნავია:<sup>104</sup>**

მომხმარებლის მიღების პოლიტიკა, პირის იდენტიფიკაცია, კლიენტების რისკ კლასიფიკაცია და მაღალი რისკის კლიენტების ანგარიშების მუდმივი მონიტორინგი.

ეს პრინციპები წარმოადგენენ საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მართვის მნიშვნელოვან საშუალებას.

კლიენტებისათვის ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე თანამშრომელი ახდენს მის იდენტიფიკაციას პირადობის დამადასტურებელი საბუთის ან საჯარო

<sup>104</sup> წყარო: თიბისი ბანკის ვებ-გვერდი, [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge).

რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველზე. ეს ხორციელდება მაშინ, როცა პირი რეესტრირდება კლიენტად, ხსნის ანგარიშს და ამყარებს ბანკთან ბიზნეს-ურთიერთობას. თანამშრომელი კლიენტისგან იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას, რათა მოხდეს კლიენტის სრულყოფილი იდენტიფიკაცია. კლიენტი შესაძლოა მოქმედებდეს მესამე პირის სახელით, ასეთ დროს აუცილებელია კლიენტზე მინდობილობის არსებობა, რომელიც ანიჭებს მას მიმნდობ პირზე კონკრეტული ოპერაციის განხორციელების უფლებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სს „თიბისი ბანკი“ ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკია საქართველოს ბაზარზე. იგი სარგებლობს კარგი რეპუტაციით და განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნია. თიბისი ბანკი ემსახურება დიდი რაოდენობის კლიენტებს და საკუთარ საქმიანობას უქვემდებარებს საერთაშორისო სტანდარტებს. იგი მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქტს საოპერაციო და საკრედიტო მიმართულებით. ასევე, ნერგავს ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებებს. თიბისი ბანკი, ყოველდღიურად, უფრო და უფრო ვითარდება და მომხმარებლებს სთავაზობს მათზე მაქსიმალურად მორგებულ მომსახურებას. ასევე, ცდილობს, საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, დანერგოს მომსახურების განსხვავებული მეთოდი, რათა კლიენტები ბანკის მომსახურებით იყვნენ მაქსიმალურად კმაყოფილნი. სწორედ ამ მიზნით, თიბისი ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა მოლოდინის დროს.

ვფიქრობ, თიბისი ბანკს გააჩნია განვითარების უდიდესი პერსპექტივა და შეუძლია გახდეს მოწინავე ბანკი არამხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ბაზარზე.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბანკო სფეროში ჩამოყალიბდა მთელი რიგი დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: პირველი, განხორციელდა საბანკო რეფორმა, რაც გამოიხატა კომერციული ბანკების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებითა და კონკურენტული გარემოს შექმნით; მეორე, გაიზარდა დეპოზიტების რაოდენობა, მესამე, მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა ზრდამ განაპირობა ბანკების გაფართოებისა და გამსხვილების პროცესი;

ბოლო პერიოდში, საბანკო სფეროში დიდი წინსვლა შეიმჩნევა. ბანკები ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, თავის მხრივ, განაპირობებს ბანკების წარმატებულ ოპერირებას ბაზარზე.

მიუხედავად ამისა, საბანკო საქმიანობას თან ახლავს მრავალი პრობლემა. აუცილებელია, ბანკებმა დროული რეაგირება მოახდინონ მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე. ვადაგადაცილებული სესხების თავიდან აცილების მიზნით არასასურველი შედეგების მიღების რისკები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. ამის მიღწევა შესაძლებელია მსესხებლის საკრედიტო ისტორიის ძირფესვიანად შესწავლით, მსესხებლის შემოსავლების გათვალისწინებითა და ყველა სხვა შესაძლო რისკის გაანალიზებით. ამ ფუნქციას ბანკებში ითავსებენ სპეციალური სამსახურები, მათ შორის ერთ-ერთ ასეთ განყოფილებას წარმოადგენს რისკების მართვის განყოფილება. ამ პროცესში საბანკო საქმიანობის რეგულირებით დაკავებულ სამსახურებს თავიანთი როლი გააჩნიათ. სწორედ ამის გამოძახილი არის ის რეგულაცია, რომელიც განხორციელდა ეროვნული ბანკის მიერ სესხებით უზრუნველყოფის საკითხში. სესხების გაცემის გამკაცრება არის საწინდარი იმისა, რომ ვადაგადაცილებული ანუ პრობლემური სესხების რაოდენობა მკვეთრად შემცირდება.

მიუხედავად იმ რისკებისა, რომლებიც თან ახლავს კომერციული ბანკების მიერ ვალის აღებას, კომერციულ ბანკებს თავიანთი საქმიანობისთვის რესურსი ყოველთვის აკლიათ და ყოველთვის ცდილობენ მოიზიდონ დამატებითი რესურსი მანამ, სანამ ეკონომიკა საკრედიტო რესურსს შთანთქავს. ბანკმა კარგად უნდა გაიაზროს ღირს თუ

არა რისკის გაწევა, რა შედეგს მოუტანს ეს მის საქმიანობას, რამდენად ეფექტურად იქნება გამოყენებული აღნიშნული თანხები და როგორ გავლენას მოახდენს ეს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია, კომერციულმა ბანკებმა არ დაარღვიონ მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნები. ბოლო წლებში, ამ მიმართულებით დადებითი ტენდენციები შეინიშნება, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. სწორედ, ამის გამოძახილია ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნები წესი", რომელიც მიზნად ისახავს საბანკო სექტორის გამჭვირვალობის ამაღლებას.

საქართველოს კომერციული ბანკების მართვის მთავარი მექანიზმი არის საბანკო საქმიანობის რეგულირება, რომელიც მიზნად ისახავს საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას.

საბანკო საქმიანობის რეგულირების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია საბანკო საქმიანობის რეგულირების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა და ამის საფუძველზე საბანკო საქმიანობის რეგულირების გაუმჯობესების გზების ძიება. ეს ყოველივე აუცილებელია განხორციელდეს ეკონომიკის თავისებურებებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

აგრეთვე, საბანკო საქმიანობის რეგულირების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის აუცილებელია ლიკვიდობის სათანადო მართვა. ამ მიზნით, შესაბამისმა სამსახურმა უნდა შეაფასოს ლიკვიდობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

საქართველოში მოქმედი საბანკო რეგულირების ყველა ინსტრუმენტის განხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საბანკო რეგულირებისათვის მნიშვნელოვანია კაპიტალის საკმარისობის კონტროლი, აგრეთვე რისკების სათანადოდ მართვა და მათი მინიმუმამდე შემცირება.

იმ პრობლემების კვალდაკვალ, რომლებიც იკვეთება საბანკო სექტორში მნიშვნელოვანია ის რეგულაციები, რომლებიც ტარდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. აღნიშნული რეგულაციები მიზნად ისახავენ საბანკო სექტორის სტაბილურობასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა მნიშვნელოვანია, როგორც ბანკისათვის, ასევე მომხმარებლისათვის. ეს სისტემა მინიმუმამდე ამცირებს ბანკის გაკოტრების შესაძლებლობას. შესაბამისად იზრდება ბანკისადმი ნდობა, რაც აისახება დეპოზიტების რაოდენობაზე, ხოლო ყველაფერი ეს კავშირში დადებით ზეგავლენას ახდენს ბანკის საქმიანობასა და ქვეყნის ეკონომიკაზე. რაც შეეხება, მომხმარებელს დეპოზიტების დაზღვევა დაცულს ხდის მის ანაზარს. ანუ, გამოდის, რომ დეპოზიტების დაზღვევის სისტემა სასარგებლოა, როგორც ბანკისათვის, ასევე მომხმარებლისათვის.

ბანკის ლიკვიდობის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ბანკის მენეჯმენტის კომპენტენტურობაზე და ბანკში დანერგილი საინფორმაციო და კონტროლის სისტემის ადეკვატურობაზე, ვინაიდან კარგად მომუშავე მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა ბანკის ლიკვიდობის ეფექტიანად მართვის განუყოფელი ნაწილია;

ეროვნული ბანკის რეგულაცია სესხებით უზრუნველყოფის საკითხში მნიშვნელოვანი რეგულაციაა. შემოსავლის დადასტურების გარეშე საცალო სესხების გაცემის მოტივაციის შემცირება ხელს შეუწყობს საკრედიტო სტანდარტების გაუმჯობესებას საბანკო სექტორში, კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებასა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საკრედიტო ურთიერთობების წახალისებას.

ეს რეგულაცია შეამცირებს ჭარბვალიანობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნასთან, რაც პირდაპირპროპორციულად უზრუნველყოფს ქვეყანაში მეტი ინვესტიციის მოზიდვას, ბიზნესის განვითარებასა და მეტი სამუშაო ადგილის შექმნას, რაც დადებითად აისახება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე თითოეულ მოქალაქეზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირდება ბანკის მიერ გაცემული სესხების რაოდენობა და არ ქრება ის საჭიროებები, რომლებიც მომხმარებლებს გააჩნიათ და რისთვისაც ესაჭიროებათ სესხის აღება.

ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია ის რეგულაციები, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით, რეგულაციების შედეგები არის წარმატებული და გრძელვადიან პერიოდში

მოსალოდნელია მათი დადებითი ეფექტების კიდევ უფრო გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განაგრძოს ცალკეული რეგულაციების შედეგებისა და ეფექტების მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ზომებს. ასევე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მუდმივად უნდა შეაფასოს და აკონტროლოს საბანკო სფეროში მიმდინარე მოვლენები და სისტემის საჭიროებებიდან გამომდინარე შეიმუშავოს ახალი რეგულაციები, რომლებიც განაპირობებენ საბანკო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებასა და ზოგადად, საბანკო სფეროს განვითარებას და საბოლოოდ, ეს ყველაფერი, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია, რომ საკრედიტო სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა გრძელდება, რას მოუტანს ის საბანკო სექტორს, ქვეყნის ეკონომიკასა და რაც მთავარია მოსახლეობას, ამას დრო გვიჩვენებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ❖ საქართველოს საბანკო კანონმდებლობა. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 10 მარტის N436-III ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 10 მარტის N439-III ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის №281/04 ბრძანება, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებაში მითითებული საკითხების დაზუსტება“. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის №281/04 ბრძანება. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 17 ივნისის №49/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 17 აპრილის N65/04 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ეროვნული

ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 11 აპრილის N62/04 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);

- ❖ „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2017 წლის 28 დეკემბრის №4/5 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის N215/04 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „კომერციული ბანკებისათვის ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 9 ივლისის N154/04 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
- ❖ „კომერციული ბანკების ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 15 მაისის N 70/04 ბრძანება, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
- ❖ „კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 3 მაისის N61/04 ბრძანება, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის დადგენილება N1, [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge);
- ❖ საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის განცხადებები და გადაწყვეტილებები, თებერვალი და მაისი, 2019წ;
- ❖ საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში. თბ.,2017;
- ❖ საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში. თბ.,2018;



- ❖ ბახტაძე ლ., ბარბაქაძე ხ., ყანდაშვილი თ. ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, თბ., 2012;
- ❖ ვან ჰორნი ჯ., ვაჰოვიჩი ჯ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, 2009;
- ❖ კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2014;
- ❖ ლუდუშაური ლ. საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2012;
- ❖ ცუცქერიძე გ. საბანკო მენეჯმენტი, (ლექციების ციკლი), [www.abg.org.ge](http://www.abg.org.ge);
- ❖ Банковское дело / Под ред. Лаврушина О. И. М., 2009;
- ❖ Koch T., Macdonald S. Bank Management, 2014.

## ვებ-გვერდები

- ❖ [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) (საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი);
- ❖ [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე);
- ❖ <http://www.nbg.gov.ge/> (საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“);
- ❖ [www.diagency.ge](http://www.diagency.ge) (საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო);
- ❖ [www.abg.org.ge](http://www.abg.org.ge) (საქართველოს ბანკების ასოციაციის ვებ-გვერდი);
- ❖ [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო);
- ❖ <http://www.nplg.gov.ge> (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა);
- ❖ [www.on.ge](http://www.on.ge);
- ❖ [www.vali.ge](http://www.vali.ge);
- ❖ [www.tabula.ge](http://www.tabula.ge);
- ❖ [www.credy24.ge](http://www.credy24.ge);
- ❖ [www.aaf.ge](http://www.aaf.ge);
- ❖ [www.akhalitaoba.ge](http://www.akhalitaoba.ge);
- ❖ [www.ltv.ge](http://www.ltv.ge);
- ❖ <http://forbes.ge>;

- ❖ <http://commerciant.ge;>
- ❖ [https://space.ge/;](https://space.ge/)
- ❖ [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი);
- ❖ <http://www.tbcbank.ge/web/ka> (თიბისი ბანკის ვებ-გვერდი).